1964

ЮЛЗЛОЛ

სკოლა-ჩვენი

სკოლა-ჩვენი

სექტემბერი

ჯანსუღ ჩარკვიანი

რა ნათელი დღე გათენდა, დებო,
რა მზიანი დღე გათენდა, ძმებო,
ნუ მოიწყენთ, ველებო და მთებო,
სკოლა გვიხმობს,
სკოლა საოცნებო.

სკოლა — ჩვენი სიყვარული დიდი,
სკოლა—მტერი უკუნის და ბინდის,
სკოლა—ჩვენი მეგობრობის ხიდი,
მშვიდობის და ერთგულების ხიდი.

ერთი, ორი,
აბა, მწკრივად, მწკრივად,
კენტად არა,
წყვილად,
წყვილად,
წყვილად...
ლაქვარდ ცაზე
სექტემბერი ბრწყინავს,
გაუმარჯოს,
სექტემბერის ბრწყინვას.

ერთად,
ერთად,
მხოლოდ ერთად,
ერთად,
რომ გვშვენოდეს
ყველას მხრების გაშლა,
ყველას გულში
სექტემბერი ფეთქავს,
გაუმარჯოს ჩვენს სექტემბერს,
ვაშა!

ზაფხულის არდადეგები მე და ჩემმა თანაკლასელებმა ნაყოფიერად გავატარეთ. მუყაითად ვუვლიდით ჩვენი სკოლის ნაკვეთს, ვეხმარებოდით კოლმეურნეობას, ვიკაჟებდით სხეულს, ვისვენებდით შინაარსიანად.

და აი, დადგა პირველი სექტემბერი. კვლავ ხალისიანად აწკრიალდა მშობლიური სკოლის ზარი...

ძვირფასო თანატოლებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და ყოველდღიურ პიონერულ საქმიანობაში.

გავახაროთ სამშობლო ბეჯითი სწავლითა და შრომით!

გელა რაზმაძე,
გორის რაიონის მერეთის საშ. სკოლის VII² კლასის ხუთოსანი მოსწავლე.



პირველი სექტემბერია! ძვირფასო ბავშვებო, თქვენი საზეიმო განწყობილება და ჟრიამული მახარებს,—მეც უჩვეულოდ ვღელავ. დღეს განსაკუთრებული დღეა. ბევრი თეთრბაფთიანი გოგონა და მოკლეშარვლიანი ბიჭუნა პირველად მიაბიჯებს სკოლისკენ, მათ სურთ, რაც შეიძლება მალე მიუსხდნენ მერხებს და გადაშალონ „დედაენა“. ვხედავ, დასვენების შემდეგ თქვენც მიგეჩქარებათ სკოლისკენ, სადაც გელიან საყვარელი მასწავლებლები, გელით თქვენი დიდი საქმე—სწავლა.

ბედნიერი ყოფილიყოს ეს ახალი სასწავლო წელი თქვენთვის, ჩემო პატარა მეგობრებო!

სკოლა ცოდნის საძირკველია, და თუ საძირკველი მტკიცეა, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. თქვენ არ გაგიჭირდებათ გახვიდეთ ცხოვრების დიდ გზაზე. ხომ იცით, ჩვენი საუკუნე, მეოცე საუკუნე, დიადი და რთულია. სწორედ ამ საუკუნეში დაიპყრო ადამიანმა კოსმოსი—მეცნიერებამ მიაღწია დღემდე წარმოუდგენელ სიმაღლეებს და, რაკი თქვენ ჩვენი საზოგადოების ხვალინდელი დღის ადამიანები ხართ, ამ მეცნიერების შემდგომი წინსვლა თქვენზეა დამოკიდებული.

თქვენ სწავლის შესანიშნავი პირობები გაქვთ. აბა, რა უნდა მექნა ბავშვობაში მე: რუსულად ვერ ვკითხულობდი, ხოლო ქართულ ლიტერატურას ვერც ვშოულობდი. ალბათ წარმოიდგენთ, როგორ მიჭირდა. სწავლა კი მინდოდა, ძალიან მინდოდა და ამან ყველა სიძნელე დამაძლევინა. ეს იყო სამოცდაათი წლის წინათ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ ვნახე და განვიცადე... და მაინც, ჩემი პირველი ნაბიჯები თელავის სასულიერო სასწავლებელში, ჩემი პირველი მასწავლებლები არასდროს არ დამვიწყნია.

ისწავლეთ ბეჯითად, მონდომებით,—არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი ხვალინდელი დღე თქვენა ხართ.

ივანე ბერიტაშვილი,
აკადემიკოსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყვარული ჯიჯი, ეეგოჯრაჯის ჯიჯი.

ჩემო პატარა მეგობრებო! გავიდა პიონერული ზაფხული. მიყუჩდნენ თქვენი საყვარელი ბანაკები. ტურისტული ლაშქრობებიდან და მოგზაურობებიდან შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაუბრუნდით სკოლებს. დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

ბედნიერია ყველა ის, ვინც სწავლობს და იძენს ცოდნას. ბედნიერნი ხართ თქვენ, ჩვენი დიადი ქვეყნის პატარა მოქალაქეებო,—ყველა პირობა გაქვთ შექმნილი იმისათვის, რომ ისწავლოთ და იცხოვრ ოთ ლენინურად.

თქვენი ბედნიერებისათვის ბევრს ფიქრობდნენ და იბრძოდნენ თქვენი დედები და მამები, უფროსი დები და ძმები...

1941 წელს ჩვენს დედასამშობლოს მტერი შემოესია. გერმანელმა ჯალათებმა დაუნდობლად მოსპეს და გაანადგურეს ქალაქები და სოფლები,—მთელ რიგ რაიონებში შეწყდა სწავლა, ძველებურად აღარ ისმოდა პიონერ-მოსწავლეთა მხიარული ჟივილ-ხივილი; ქვეყანა შავმა ღრუბელმა დაფარა და, აი,—ამ ღრუბლის გასაფანტავად, ფაშისტების განსადევნად აღსდგა თავისუფლებისმოყვარე ხალხი...

1941 წელს ჩემი შვილი—ვახტანგ ჩიქოვანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო. როცა მტერი გააფთრებით მოიწევდა წინ, ვაჟკაცს გული შინ აღარ დაუდგა და სამშობლოს თავისუფლებისათვის, თქვენი და თქვენი თანატოლების ბედნიერებისათვის მებრძოლთა რიგებში მოხალისედ ჩადგა. ჯერ მოსკოვის მისადგომებთან, მერე კი ლენინგრადსა და უკრაინის ფრონტებზე მუსრავდა მტერს. განსაკუთრებით, ქალაქ ჩერკასკისათვის ბრძოლაში ისახელა თავი. ფაშისტები პირნერთა სახლში გამაგრდნენ. ვახტანგი მეავტომატეთა ოცეულით უშიშრად შეიჭრა შენობაში და მუსრი გაავლო მტერს.

კორსუნ-შევჩენკოვოს რაიონში, ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ჩემი შვილი გმირულად დაეცა.

ვახტანგის ცხედარი ზვენიგოროდის რაიონის სოფელ ვოდიანსკის საშუალო სკოლის ეზოშია დაკრძალული. ეს ის სკოლაა, საღაც ვახტანგმა და მისმა მეავტომატეებმა მტერს კუდით ქვა ასროლინეს.

23 წლის ახალგაზრდა ოფიცერს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ვოდიანსკელი პიონერ-მოსწავლეები სიყვარულითა და პატივისცემით უვლიან გმირის საფლავს. და აი, ახლაც, როცა ახალი სასწავლო წელი დაიწყო, ვახტანგ ჩიქოვანის სახელობის რაზმეული გმირის საფლავთან მოაწყობს ტრადიციულ შეკრებას და პიონერები კიდევ ერთხელ შეჰფიცებენ, რომ ისწავლიან სულ უფრო კარგად, იქნებიან თავისუფლებისათვის დაცემულ გმირთა ღირსეული შთამომავალნი.

ჩემო პატარა მეგობრებო, სულითა და გულით მოგილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და გისურვებთ—სასახელო საქმეებითა და კარგი სწავლით გაამართლოთ თქვენი დედებისა და მამების, უფროსი დებისა და ძმების ამაგი.



შუშანა რუხაძე,
დამხახურებული მასწავლებელი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ბიეი ჭიჭინაძე

ნახატები ზურაბ ფოლრჩხიძისა

პაპანაქები

დათო

დათო, — ეს მე ვარ.

დედა დათოს მეძახის; მამა — დავითს, ძია ლადო — დათას.

— დათო, მოგკლავ იცოდე! — დამიცაცხანებს დედა ხანდახან.

მამა კი, — დავით ასე არ ვარგაო, — მანიშნებს თვალით. რაც არ უნდა იყოს, კაცია და კაცურად მექცევა.

თეო მასწავლებელიც დავითს მეძახის.

ჰო, დიდედა გამომრჩა! ნეტა მოგასმენინათ, რა ტკბილად მეუბნება:

— დათუნა, მიხურე კარები. — დათუნი, მომაწოდე ხელჯოხი.

დიდედა დილიდან დაღამებამდე აივანზე ზის. — ამინდზე აწარმოებს დაკვირვებასო, — სიცილით თქვა ერთხელ ძია ლადომ.

— სადილობის დროა, დიდედო! — ჩავძახებ ყურში, როცა სადილობის დრო მოვა. ძლივს გამოერკვევა. მერე მხარში შევუდგები და, „აბა ჰე, აბა ჰოს“ ძახილით სასადილო მაგიდამდე მივალთ. ნასადილევს ისევ აივანზე გავალთ. მე ხან წიგნს ვკითხულობ, ხან ვჩხრიკედელაობ, დიდედა კი ხშირ-ხშირად მეკითხება:

— დათუნა, სად ხარ, შვილო, ხომ არ გცივა?

ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მიხარია, რომ ახლა ყველა დათოს მეძახის. წინათ ეზოში ჩავიდოდი თუ არა, მაშინვე: — წრიპაა! წრიპაა! —რამდენჯერ დავემუქრე ბიჭებს, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა;

— ეი, წრიპა! ბურთი გადაგვივარდა ბაღჩაში, გადახტი, გადმოიტანე, — მეტყოდა ერთი.

— წრიპ! გაიხედე, მამაჩემი ხომ არ მოდის! — დამავალებდა მეორე. უარს თუ ვეტყოდი, — წადი, შე ლოტოს კოჭო, შენაო, — მომაძახებდნენ.

ერთხელ გადავწყვიტე, — მთელი დღე არ ჩავსულიყავი ეზოში. აივანზე სასაპნე გავიტანე. მოვიმარჯვე ძაფის კოჭი, ავაქაფე საპონი და, — ჰერი ბიჭო, წავიდა ტრიალ-ტრიალით ფერად-ფერადი ბუშტები. ისე ლამაზად დააქანებდა ჰაერში ბუშტებს ნიავი, რომ კაცი ცქერით ვერ გაძღებოდა; ხმა არ ჰქონდა, თორემ ნამდვილი შუშხუნები იყო.

უცებ, ეზოში გოგის მოვკარი თვალი. წყლით სავსე სათლი ფეხებთან უფრო ახლოს მივიდგი. სიმღერის ხასიათზე სულაც არ ვიყავი, მაგრამ მაინც წამოვიწყე — ლა, ლა, ლა, ლა, ბარაქალა!.. სწორედ ამ სარეკელა გოგიამ შემარქვა მეტსახელი.

— ეჰეი, დათო! — ამომძახა მელიასავით, — ამოვალ რა, მეც გავუშვებ შუშხუნებს, — ყელს იწევდა და შემომცინოდა გოგი.

არც ვაციე, არც ვაცხელე, — ვტაცე სათლს ხელი და შხაპ,—ზედ თავზე გადავასხი წყალი.

— ეი, წრიპა, ნახე, რას გიზამ! — აყვირდა გოგი. შარვლის ტოტებიდან წყალი სულ წურწურით ჩასდიოდა. ქვა რომ ვერსად იპოვა, ქვიშა მოხვეტა, მომიქნია და თვითონვე გადაიყარა თავზე.

— ნათლი, როგორა ხარ, ნათლი! — ჩავძახე ქირქილით.

— დამაცა, დამაცა! — მუშტით დამემუქრა და წავიდა.

— რატომ გადაასხი თავზე წყალი! არ გრცხვენია ამხელა ბიჭს? — გამიწყრა დიდედა.

— რატომ და იმიტომ! — წამოვიყვირე მე.

— ოჰო, ყოჩაღ, ბიჭო! ყვირილიც კარგი გცოდნია, — მისაყვედურა დიდედამ. მივხვდი, რომ გადავაჭარბე. ხმა აღარ ამომიღია.

საღამოს, ვახშმის წინ, მამამ გაკვეთილები გამომკითხა და ენის ბლუკუნს რომ მოვყევი, — დამტუქსა. მამას დედამაც აუბა მხარი და, ისეთი დღე დამაყარეს, სულ თავ-ბედი ვიწყევლე. ასეთ დროს დიდედა ორიოდ სიტყვას მაინც შემაწევდა ხოლმე, ახლა აღარც ის აპირებდა გამოქომაგებას. მარტო ძია ლადომ ჩამიკრა თვალი, — როგორმე უნდა გაუძლოო, — მანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჭიჭინაძის ამ მოთხრობას ჩვენს კონკურსზე მეორე პრემია მიენიჭა.

მამაჩემს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. იმას მართლაც გაუძლებს კაცი, მაგრამ დედას თუ რამე არ ესიამოვნა, მტრისას! არაფრით არ დაგზოგავს.

— დავით, როდემდე გინდა გააგრძელო ასე? — მკითხა მამამ.

მე მუჭით თვალების სრესა დავიწყე. ვიცოდი, რომ ახლა დედა ისევ მომდგებოდა და ვიფიქრე, აცრემლებულს რომ დამინახავს, იქნებ თავი დამანებოს-მეთქი.

— უი, შენ არ გაგითენდა ხვალინდელი დღე, — მაინც არ მომეშვა დედაჩემი, — შე არგასაზრდელო...

— მაინც არ ვიზრდები და ისაა! — წამოვიძახე მე ტირილით.

— ჰო, წყევლე, წყევლე და კარგი ვინმე გაგეზრდება! — უთხრა დედას მამამ. მერე მე მომიბრუნდა:

— შენ რა, რას აგიჩემებია, — არ ვიზრდებიო, ვინ გითხრა, ვინ გეხუმრა?

— ხუმრობა რა შუაშია! კლასში ყველაზე დაბალი მე ვარ. ამხანაგები წრიპას მეძახიან. ეზოშიც წრიპას მეძახიან... — აქ კი ვეღარ შევიკავე თავი და ზლუქუნ-ზლუქუნით გარეთ გავვარდი.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი დერეფანში. ძველი კარადის უკან შეყუჟული, დიდხანს ვასველებდი ცრემლით ჭრელ პირსახოცს, რომელზეც მხოლოდ სტუმრები და ექიმი იწმენდნენ ხოლმე ხელს. როცა დავმშვიდდი და კარებს დავაყურადე, დიდედას ხმა შემომესმა:

— არა, შვილო, ასე არ ვარგა. ხომ ხედავთ, მოძრავი ბავშვია, თქვენ კი სახლში გყავთ გამოკეტილი...

— მართალია! — დაემოწმა მამა.

— მთელი დღე გარეთ არაა? — თავისას არ იშლიდა დედა, — დღეს აივნიდან წყალი გადაუსხამს და მთელი ეზო აუტალახიანებია. ყველა მეზობელი როგორ მოვიმდურო მაგის გამო...

ვიფიქრე, — ახლა გოგიას ამბავსაც არ მოყვეს-მეთქი და — მოვრთე ბღავილი.

დედაჩემი ჩემს ტირილს ვერ იტანს, როგორც კი აცრემლებულს დამინახავს, სიმკაცრე მაშინვე სიბრალულად ეცვლება. საოცარია: ჯერ ცეცხლს შემინთებს და ამატირებს, მერე თვითონაც ამყვება და, როგორც ძია ლადო ამბობს, იწყება ჩვენი ცრემლიანი დუეტი. ახლაც ვერ შეიკავა დედამ თავი. ჩემთან რომ ვერაფერს გახდა, მამას მისდგა.

— შენ ხარ, ვანო, დამნაშავე, შენ! — აიჩემა ეს და იმეორებდა გაუთავებლად.

— ქალო, თავი დამანებე! რას მერჩი?! — აენთო მამა.

— რას და, ძალიან რბილად რომ ექცევი, იმას! — ძლივს ამოთქვა დედამ.

— ჰოდა, ვურტყათ არა?

— მე ეგ არ მითქვამს!

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— არ ვიცი!

— ბავშვს მარტო ყვირილითა და მუქარით ვერაფერს შეაგნებინებთ, — თქვა დიდედამ, — ხომ ხედავთ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნერვიული ხდება...

— რა ანერვიულებს? — იკითხა მამამ, წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. არასოდეს არ მინახავს მამა ასე შეშფოთებული.

— რა ანერვიულებს და...

დიდედამ სიტყვა აღარ დაამთავრა. მე ყური ვცქვიტე. მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა და გავიფიქრე: „რა უცნაური მოხუცია, ვერაფერს გამოაპარებ“.

ვიღაცამ კარები მოსინჯა. ალბათ დედა იყო, რადგან მისი ნათქვამი: „სისულელეა, ასე თუ ფიქრობსო“, ზედ ყურთან მომესმა. კარებს დუნედ მოვშორდი, საწოლ ოთახში შევედი და ლოგინზე გავიშლართე.

წითელი ხაზი

შარშან, ახალ ბინაში რომ გადმოვედით, მამამ დერეფნის თეთრად შეფეთქილ კედელთან დამაყენა და მითხრა:

— მოდი ერთი, აღვნიშნოთ რამხელა შემოხვედი ამ ბინაში. — ცალი ხელი მხარზე დამადო, მეორე ხელით ფანქარი მოიმარჯვა და ჩემი თავის გასწვრივ ხაზი გაატარა. — როცა გაიზრდები, — შეხედავ და გაგეცინება, — თქვა ღიმილით.

დედამ ერთი ამბავი ატეხა, — ეს რომელმა უტვინომ მოხატაო. რასაკვირველია, იმწამსვე მე მომდგა და, ალბათ, თავისმართლება ამაოდ ჩაივლიდა, მამას რომ არ დაეწყნარებინა, — ასეა საჭირო, მე გავხაზეო. მამაჩემის სიტყვა კანონია. ასე რომ, ის წითელი ხაზი დიდხანს შემორჩა კედელს. მას შემდეგ მე სიმაღლეში ერთი გოჯიც კი არ მომმატებია.

ჩვენი ოჯახის წევრებს ეს ამბავი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ. — მერე რა მოხდაო, — ამბობდა დედა, — არც მამა გყავს დიდი ბაყბაყდევიო.

— ნეტავი მამაჩემის ტანი მაინც მომცა-მეთქი, — ვნატრობდი მე.

— ბევრი უნდა ჭამო და გაიზრდები, — მარიგებდა დედა.

— დილის ვარჯიში მოგიხდებაო, — მაიმედებდნენ დეიდაშვილები. მამაც სულ ამას ჩამჩიჩინებდა, — უფრო მეტი იმოძრავე, ირბინე, ნუ ზოზინობ, გამოცოცხლდიო.

პირველხანებში, რაღა დავმალო და, ნამდვილად მეზარებოდა ვარჯიში. რის ვაი-ვაგლახით წამოვდგებოდი, ნახევრად-მძინარე ვვარჯიშობდი: — ერთი! ორი! ერთი! ორი! ერთ თვეში შევეჩვიე, ყოველ დილით უთენია წამოვხტებოდი ხოლმე.

— ერთი! ორი! ერთი! ორი! — გავიძახოდი და ყოველი ვარჯიშის შემდეგ კედელთან ვიყავი ატუზული. სულ იმას ვფიქრობდი, — ან ახლა ავსცდები წითელ ხაზს, ან ახლა-მეთქი, მაგრამ დრო გადიოდა და მე ისევ „წრიპა დათოდ“ ვრჩებოდი.

ეზოში ან ქუჩაში კიდევ ჰო, აიტანდა კაცი დაცინვას, მაგრამ, სკოლაში? საკმარისი იყო, ერთი ბეწო რამე დამეშავებინა, ან ვინმეს თვალში არ მოვსვლოდი, რომ მაშინვე მზად ჰქონდათ ჩემთვის ნაირ-ნაირი შედარებები:

ზოგი ჭიას მეძახდა, ზოგი ჭონდრისკაცს. ამის გამო, ერთ ხანს სკოლაში წასვლაც კი არ მინდოდა. თეო მასწავლებელი რომ არა... თუმცა სჯობს თანმიმდევრობით მოგითხროთ ყველაფერი...

ოცდაათ აგვისტოს სოფლიდან თბილისში დავბრუნდი.

ჯერ ზღვაზე ვისვენებდი, მამიდასთან. იქიდან ძია ლადომ ყვარელში წამიყვანა, უფროს ბიძასთან. ბიძაჩემს საკუთარი მსუბუქი მანქანა აქვს და რახანია მპირდებოდა, — ჩემთან

ჩამო, თუ გინდა მთელი კახეთი მანქანით მოგატაროო. მართლაც, სულ აღმა-დაღმა დაგვაქროლებდა. სად არ ვიყავით, რა არ ვნახეთ. აგვისტოში სიცხეებმა შეგვაწუხა და ძია ლადომ ახლა იმერეთის დათვალიერება მოისურვა; სოფელში მარტოდმარტო მიტოვებული ბებია პაშა და ბაბუა ქუჩიკო გამახსენდა, იქაური ბიჭებიც მენატრებოდა და, — ამ წინადადებას სიამოვნებით დავეთანხმე.

კარგია ზღვა, მწვანედ მოლივლივე გრილი ტალღები, მზე და მაგნოლიები. ყვარლის ბუნებაც ძალიან მომეწონა, მაგრამ სულ სხვა იყო ჩემი დედულეთი. იქ თავი უფრო თავისუფლად ვიგრძენი.

სოფელში ყველა თავს მევლებოდა. აბა, დავით, რა გინდა, რას მოისურვებო, — მეკითხებოდნენ წამდაუწუმ. იქ რომ ბიჭები არიან, ტყუილია იმისთანა!

სათევზაოდ ან სოკო-მაყვალზე თუ წავიდოდნენ, — წინამძღოლი მე ვიყავი, ბურთს ვთამაშობდით, — კაპიტნად მე მირჩევდნენ. „თბილისელ დათიკოს“ მეძახდნენ და ერთხელაც არ ცდილან ჩემს დაცინვას. არხეინად ვგრძნობდი თავს. ქუჩიკო ბაბუაც დღე და დღე გულს მიკეთებდა, — ბიჭოს, შენ აღარ ხუმრობ, აბა ერთი დამეტოლეო.

ბაბუა ორი ჩემხელაა, მხრებამდეც ვერ ვწვდებოდი, მაგრამ მაინც წარამარა გვერდით ვედექი მისატოლებლად. იმედიანი სიტყვის ფასი ხომ იცით! — გულზე მალამოსავით მედებოდა. ყოველი დატოლების შემდეგ თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი ჩვენი გამხმარი ბიისკენ. მაშინ ბიაზე ცარცით მქონდა აღნიშნული ჩემი სიმაღლე, წვიმების შემდეგ ხაზს ხელახლა ვავლებდი.

— შენ დამიფარე, ღვთისმშობელო მარიამ! შენ დამიფარე! — ჩურჩულებდა ბებია პაშა თავისთვის, ხესთან ატუზულს რომ დამინახავდა.

ფეხზე აღარ ვიდექი სიხარულით; ოც დღეში ოთხი სანტიმეტრის მომატება ხუმრობა საქმე არ გეგონოთ!

— მოიმატე აბა, ბაბუა? — ეშმაკურად მიცინოდა ქუჩიკო ბაბუა.

— მოვიმატე, მოვიმატე! — ვხტოდი მე სიხარულით, ქუჩიკო ბაბუა კი შემოუვლიდა გამხმარ ბიას და სიცილით გასწევდა საფუტკრისკენ.

საღამოს, წვიმიანში, შემოვუსხდებოდით ღუღუნა ბუხარს და იყო ერთი კამათი: — ვერ შევთანხმებულიყავით, რომელი სჯობდა, — ქალაქი თუ სოფელი.

მე ორივე მომწონდა და ვერც ერთს ვერ ველეოდი: — ზაფხულში სოფელია კარგი და ზამთარში ქალაქი-მეთქი. — აჰ, არ თქვა მაგიო, — მაჩუმებდა ბაბუა.

ბებია ხმას არ იღებდა, კეთილად გვიღიმოდა, ქოთნიდან მთვარესავით თეთრი ყველი ამოჰყავდა, „მწუ-მწუო“ — უწრუპუნებდა.

— აბა, ამოიყვანე ყველი ქალაქში! ხომ ვერ ამოიყვან? ჰოო, ვერ ამოიყვან! — ამბობდა ბაბუა.

— რძეს იყიდიან და ამოიყვანენ. —ამბობდა ბებია პაშა.

— მერე, ასეთი ბუხარი სადაა? — ცეცხლს ჩავცქეროდი მე.

— ჰოდა, დარჩი ჩვენთან, ბაბუა! ხომ ხედავ, რაფერ წადი სიმაღლეში, — ხელს ისე აიშვერდა ზევით, თითქოს უკვე ჭერს ვაწვდენდი თავს. კარგად ვიცოდი, საითკენაც უმიზნებდა ბაბუა. უნდოდა — ერთი ზამთარი მაინც გამეტარებინა მათთან. ვერაფრით ვერ გადამიბირა. ბოლოს, ეშმაკობას მიმართა. აბა, ამას რას წარმოვიდგენდი! მერე გავიგე და ბევრი ვიცინე. თურმე იმ ცარცის ხაზს ყოველდღე დაბლა-დაბლა სწევდა. მე კი... ერთი სული მქონდა სანამ ქალაქში ჩავიდოდი და კედელს დავეზომებოდი.

მოუთმენლად მოველოდი ოცდაათ აგვისტოს. ჩემი ბარგი ბარხანა დიდიხნის შეკრული და გამზადებული მეწყო კარებთან. დღე ადრე დაღამებას ვნატრობდი, ღამე კი ძილში სულ მატარებლები, სადგური, თბილისი და სკოლა მესიზმრებოდა. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, მოვიდა ოცდაათი აგვისტოც...

მამა სადგურში დამხვდა. გადამკოცნა, პატარა ჩემოდანი ჩამომართვა და ზუსტად ისევე, როგორც ქუჩიკო ბაბუა მეუბნებოდა, — ოჰო, აღარ ხუმრობო, — მითხრა. დედა სახლის კიბეზე შემომეგება „ჩემო ვაჟკაცო, ჩემო ვაჟკაცოს“ ძახილით. დიდხანს მკოცნა და მეალერსა. დიდედამ სახეზე ხმელი თითები მომითათუნა, შუბლზე მეამბორა და პაშა ბებიას ამბები გამომკითხა. სალაპარაკოდ მცხელოდა? ერთი-ორი სიტყვა წამოვილუღლუღე თუ არა, მაშინვე მივირბინე კედელთან და ზედ ავეკარი.

— ბიჭო, მოეშვი მაგ კედელს! — ღიმილით მითხრა მამამ და, რატომღაც, ფანჯარა გამოაღო.

— უჰ, რამხელა გაზრდილა დათოს დარგული ალუბალი!

— მომავალ წელს ნაყოფს გამოისხამს! — დაასკვნა დედამ. უნდოდათ, ჩემი ყურადღება მიექციათ. მე კარადის სარკეში გაოცებული შევცქეროდი ხან ჩემს ორეულს, ხან — წითელ ხაზს; აღარ ვიცოდი, რა მექნა. „ლილიპუტი ვარ ნამდვილად, ლილიპუტი“, — გავიფიქრე. მერე, თავი ვეღარ შევიკავე და მოვხსენი პირი ჩემს გუდა-სტვირს. შემომეხვივნენ ირგვლივ: აქეთ დედა, იქეთ მამა, დიდედა, მაგრამ მაინც ვერ დამაწყნარეს. ახალი ჩანთა გიყიდეო, — მითხრა დედამ, — ახალ შარვალ-კოსტუმსაც შეგიკერავო. შარშან რომ ველოსიპედს დაგპირდი, ახლავე წავალ და მოგიტანო, — თქვა მამამ. რაც უფრო ტკბილ-ტკბილი სიტყვებითა და საამო დაპირებებით ცდილობდნენ ჩემს დამშვიდებას, მით უფრო მიჩუყდებოდა გული.

ის დილა ყველას ჩავაშხამე, წესიერად არც კი უსაუზმიათ. ჯერ ეგონათ, მოშივდება და მოგვიანებით მაინც გამოვაო; მერე შემატყვეს, გუდა-სტვირით „კონცერტის“ ჩატარების შემდეგ საწოლი ოთახიდან თავის გამოყოფა რომ მესირცხვებოდა, და თვითონვე შემომაკითხეს სათითაოდ.

ჯერ მამამ შემოაღო კარი და ხმამაღლა მკითხა, ხომ არ გძინავსო.

მე პირველად მართლა მინდოდა თავის მომძინარება, მაგრამ მივხვდი, რომ მამასთან ტყუილი არ გამივიდოდა და, — რა დამაძინებს-მეთქი, — ვუთხარი.

— რას აგიკვიატებია, ბიჭო, ეს უცნაური აზრი? — დაიწყო მამაჩემმა. ყოველთვის ამას მეტყოდა ხოლმე, როცა ჩაფიქრებულს ან მოწყენილს დამინახავდა. ახლაც ხომ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთქვა რაღაც, ხომ უნდა შეემსუბუქებინა ჩემი გულისწუხილი?

— სიცხე გაქვს, ბიჭო?

— არა, მამა! სიცხე არა მაქვს! — დავამშვიდე მე.

მამამ მაინც ვერ მოისვენა, სანამ თერმომეტრი არ ამომჩარა იღლიაში. სიცხე არ მქონდა. თერმომეტრის დასაფერთხად რომ წამოდგა, დედაჩემის ნათქვამი გამახსენდა: „არც მამაშენი გყავს დიდი ბაყბაყდევიო". ოდნავ მეამა კიდეც, — რა ბედი გამიწყრება და მამაჩემზე პატარა ტანისა დავრჩებიმეთქი. მამა მიმიხვდა, ასე ინტერესით რომ ვათვალიერებდი და ღიმილით მითხრა:

— აბა, შემომხედე! მე რა, სხვაზე ნაკლები რითა ვარ? სამსახურში ყველა „ქონდარა ვანოს" მეძახის.

— იი! — გავიოცე მე.

მამაჩემი ფეხსაცმელების ფაბრიკაში საამქროს უფროსად მუშაობს. მაშინ ჩემთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საამქროს უფროსსაც მეტსახელს შეარქმევდნენ.

— თუ შეუძლოდ ხარ, იწექი, ნუ ადგები! — თქვა მამამ და დინჯად გავიდა ოთახიდან.



წამსაც არ გაევლო, დედამ შემოიხედა. სადილს მანდ მოგიტანო, — მითხრა. მე დაღლილ-დაქანცული ვიყავი. საწოლზე ნებიერად ვიწექი და აღარაფერზე აღარ მინდოდა ფიქრი. მანამდე დედას ასე გაშოტილი რომ დავენახე, სულ წყევლა-კრულვით ამიკლებდა. ახლა კი... ცოტა არ იყოს, მესიამოვნა კიდეც ასეთი გადაჭარბებული ყურადღება. თხელი ზეწარი სახეზე გადავიფარე და გემრიელი სადილის მოლოდინში გავიტრუნე.

უცნაური სიზმარი

დღისით ძილი ჭირივით მძულს. დედაჩემს ამის გამო ბევრჯერ მივუტყეპივარ. მაინც ვერაფერმა ვერ გაჭრა, — ვერც დაყვავებამ და ვერც დაშინებამ. ჰო, — რაც თავი მახსოვს, დღის შუქზე თვალი წამითაც კი არ მომიხუჭავს; იმ დღეს რა დამემართა, არ ვიცი. ალბათ, მატარებლით მგზავრობამ გადამქანცა და იმის ბრალი იყო. იქნებ, მამაჩემის დარიგებამ ან ლოგინში მორთმეულმა სადილმა იმოქმედა... ასე იყო თუ ისე, უცებ ჩამთვლიმა.

უცნაური რაღაც ვნახე ძილში. სიზმარს არც კი ჰგავდა. ახლაც თვალნათლივ ვხედავ: ორთვლიან ველოსიპედზე ვარ შესკუპული და სადღაც უცნობი გზით მივქრი. ქალაქიც უცხოა. ვაკვირდები ახლადმოკირწყლულ ქვაფენილებზე სწრაფად მოსიარულე ადამიანებს. მინდა ვიკითხო, ეს რა ქალაქია-მეთქი, ისინი კი უბრალო შემოხედვის ღირსადაც არ მთვლიან. მიდიან და მიიჩქარიან. მეც ავდექი და იმ ორთვლიანით, რომელსაც მამაჩემი რახანია მპირდებოდა და ვითომ მიყიდა კიდეც, უკან ავედევნე.

ქუჩის ბოლოს ერთი მაღალი შენობა გამოჩნდა, ირგვლივ რკინის გალავანი ერტყა და ოქროსფრად მოელვარე სახურავზე ვეება მილი ჰქონდა აშვერილი. ყველანი იმ შენობაში შერბოდნენ. ალაყაფთან, პატარა ჯიხურში, მოხუცი კაცი იდგა, ეტყობა — დარაჯი იყო. შემსვლელებს საშვს უსინჯავდა და ისე უშვებდა. „ეს, ალბათ, ფეხსაცმელების ფაბრიკაა" — გავიფიქრე მე და გამეხარდა: შევალ. მამაჩემს ვეტყვი, — ჩქარა წამომყვეს შინ, თორემ საცაა ჩამოღამდება და გაკვეთილების სწვლას ვეღარ მოვასწრებ-მეთქი.

— შედი, ქონდარას ბიჭო! — მითხრა დარაჯმა და მხარზე მეგობრულად დამკრა ხელი. მეც შევედი. უცებ — უზარმაზარ დარბაზში ამოვყავი თავი. იქ მომუშავე ადამიანებს თვალებზე ყველას შავი სათვალეები ეკეთათ და ციბრუტივით ტრიალებდნენ აქეთ-იქით. ისე იყვნენ გართულნი საქმით, რომ ჩემი მისვლა არც კი გაუგიათ. მე გამოშტერებული ვიდექი შუა დარბაზში და გონს ვერ მოვსულიყავი. ჩემს გვერდით, მიწიდან პირღია გუმბათისაკენ მიემართებოდა კორპსაძრობივით დაგრეხილი რკინის კიბე, სწორედ ისეთი — დეიდაჩემის სახლს რომ აქვს. ოღონდ, ეს უფრო დიდი იყო, თანაც — ოქროსფრად ბზინავდა. თვალი ძლივს ავაწვდინე. — ნეტავი

რაში ჭირდებათ ეს ემშაკის მანქანა-მეთქი, — წამოვიყვირე. — ეს ემშაკის მანქანა კი არა, კოსმოსური ხომალდების გასამვები ბაკანაია, — ამიხსნა ვიღაცამ.

— დღეს მთავარზე პირველად გაფრინდება ადამიანი! — გაისმა ამ დროს დარბაზში ლიტერორის ხმა. ატყდა ინგალეივ ჩოჩქული, ბოაწყდა და ბოაწყდა იმ კიბეს ხალი სეირის საყურებლად. გუშმათიდან ჩამოფშვა ხომალდი. მე ის უფრო სხვანაირი შეგონა, — გაზეთებში ხომ მქონდა ნანახი! ეს კი ფუნიკულორის საპაერო რონოდას ჰგავდა. შიგ ერთი ახალგაზრდა იდგა. — ეს არის კოსმონავტი, — თქვეს, თავზე სკაფანდარი ჩამოეფსაატა და გვიყურებდა. „უჰ, რა ბეჭნიერი კაცია“, — ავიფიქრე მე. იმ ახალგაზრდამ კი ხელი გამოქიფოდა და მეუბნება. — წამოდი, მთავარზე გავფრინდეთო. მე პირველად ყოფანი დავფრენ, — ვაითუ უწონადობა ვერ ავიტანონ-მეთქი ხანამ რაიმეს მოვიფიქრებდი, ის ხომალდი გაფრინდა და ხახამშრალი დავრჩი. უცებ, ჩემს წინ ერთი ჩია კაცი დაეინახა. — აი, ეგ არის ამ ხომალდის გამოგონებელი, — მითხრა ვრთმა მუშამ. იმ კაცს ჩკერდზე წითელი ვარსკვლავი ეკეთა, ლუნელის მილივით ვეება ჭოგრიტით ცისკენ იყურებოდა, — ხომალდის მიმართულებას ამოწმებდა. უცებ, იმ კაცმა მე შემომხედა და იკითხა: — ეს ცეროდენა ბიჭი ვინ არისო. — ვინა და, ქოხდარას ბიჭი ვარ! — ვუპასუხე ამაყად. ძალიან მოხაროდა, რომ ეს კაციც ჩემსავით წრეპა იყო. გულს სუფი ბაგა-ბუგი ვაკქონდა... მერე, მე და ის კაცი მთავარზე გავფრინდით... მთავარე თეთრი და ცივი იყო, მაგრამ ჩვენს სულაც არ გვეკითხა, „პირველი, ვისხედით და ნაყინს შეეფქეცოდით. ადამიანები დედამიწაზე ჭიანჭველებივით ჩანდნენ.

— ნეტა ახლა ჩემი თავი დაანახა ბიჭებს და მეტი არაფერი მინდა — ვინატვრე მე. მალე, ვითომ, გაზეთიდან ამოჭრილი ჩემი ფოტოსურათი სკოლის საპატონო დაფაზე გააკრეს, ქვეშ დიდი ასოებით ეწერა: „პირველი კოსმონავტი პიონერი, რომელიც მთავარზე გავრინდა და კოლონახეანო ნაყინი მიირთოვა“. წავიკითხე და საშინლად გავბრაზდი, ეს რა დაუწერიათ-მეთქი. იქვე თეზრ ვარდისანიძე იდგა და უმხოდ იღრიჭებოდა. მიეხედი, რომ მისი მოწყობილი იყო ყველაფერი. ვეცი და დავეშინე მუშტები. მასწავლებელმა გაგვაშველა და მისაყვედურა: — დავით, ასეთ ცნობილ კაცს ჩხუბი არ ეკადრებაო. ამასობაში თვალიც გავახილე. ცოტა ხანს, სანამ გონს მოვიდოდი, უხმოდ ვიწექი. მერე კი — ფხუკ! — ამოვარდა სიცილი და კარგა ბულიანად ვიცინე.

(ᲛᲐᲡᲚᲐᲠᲘᲚᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲗᲘᲗ)

ᲖᲔᲛᲘᲡ ᲖᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ. 19 ᲛᲐᲘᲡᲘ — ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ — ᲜᲝᲠᲩᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲯᲘᲡᲗᲐᲜ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲗᲐᲜ. „ᲜᲝᲩᲩᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲯᲘᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲗᲐᲜ“ — ᲐᲝ, ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲜᲘ.

**...ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲦᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲤᲣᲢᲣᲤᲣᲚᲘᲐ; ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲔᲓᲒᲝᲛᲐ. ᲮᲐᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲒᲘ ᲑᲘᲭᲘᲠᲜᲐᲛ ᲠᲐᲛ ᲐᲮᲝᲗ. ᲐᲝ, ᲗᲣᲗᲣᲥᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲚᲘᲡᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲮᲔᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲢᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲛᲐᲖᲦᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘ



„კონ-ტიკი“ გამოფენის დარბაზში.

პოულობთ წყნარ ოკეანეში პოლინეზიის კუნძულებს. ეს კუნძულები პერუდან ძალიან შორსაა, — 4.300 საზღვაო მილზე... და, თურმე, უხსოვარ დროში, როდესაც გემი არ იყო, მტრისგან დევნილ ინკებს პოლინეზიის ამ უშორესი კუნძულებისაკენ მიუძღოდა მათი ბელადი კონ-ტიკი. არავის სჯეროდა, რომ ინკებმა მთელი ეს გზა ტივებით გაიარეს. წყნარ ოკეანეში, და ისიც ამხელა მანძილზე, ტივით მგზავრობა ხომ ზღაპარს ჰგავდა.

და აი, 1947 წელს წყნარ ოკეანეში ისევ გამოჩნდა პოლინეზიისაკენ მიმავალი „კონ-ტიკი“. ეს იყო ტივი, რომელსაც ინკების მამაცი ბელადის სახელი ერქვა. „კონ-ტიკს“ უნდა დაემტკიცებინა, რომ ინკებს ნამდვილად შეეძლოთ ტივებით მისულიყვნენ პოლინეზიამდე.

„კონ-ტიკზე“ ხუთი კაცი იყო, მათ შორის, — თქვენთვის კარგად ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი ტურ ჰეიერდალი. თქვენ, ალბათ, ყველას წაგიკითხავთ მისი წიგნი „მოგზაურობა კონ-ტიკით“, ყველამ იცით, რომ ჰეიერდალი „კონ-ტიკით“ პოლინეზიაში ჩავიდა. ახალი „კონ-ტიკი“ ინკების ტივის ზუსტი ასლი იყო, — იგი თოკებით ისე შეკრეს, რომ არსად არ უხმარიათ ლურსმანი, რკინის სალტე (ინკებს ხომ ძველად რკინა არ ჰქონდათ).

მაშ ასე, წყნარი ოკეანიდან ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის გამოფენის დარბაზებში დავბრუნდეთ და თბილისის 116-ე საშუალო სკოლის VI კლასელი მოსწავლის — ა. ხაჯიევის „კონ-ტიკის“ მოდელი „გავსინჯოთ“. ყველაფერი კარგად გაუნაწილებია და აუწონ-დაუწონია მოსწავლის თვალს, მის ფანტაზიას. მაგრამ ფანტაზიაცაა და ფანტაზიაც: „კონ-ტიკის“ მოდელი ჰეიერდალის ტივის მიხედვითაა დამზადებული, — გამოფენის დარბაზში კი ინკების ტივის ასლი დევს: თოკებით შეკრული მორები, ბამბუკის გემბანი, ტივის ძველებური სამართავი, აფრა, რომელზედაც ბელადი კონ-ტიკია გამოსახული... თითქოს გვესმის მორების ღრჭიალი, რომლებიც, ოთხმოცზე მეტი დღეა, სახლისოდენა ტალღებზე ქანაობენ.

გამოფენის დარბაზში „კონ-ტიკი“ თანამედროვე გემებსა, იახტებსა და კრეისერებს შორის დგას, — იგი ხომ მათი შორეული წინაპარია.

„ცეცხლს ნუ ეთამაშები!“

— ბავშვებს ყველაზე მეტად რადიოსაქმე აინტერესებთ. რადიოდანადგარების დამზადება რთული საქმეა, მაგრამ ცნობისმოყვარეობას და გულმოდგინეობას ყველაფერი შესძლებია, — ღიმილით ამბობს გამოფენის რადიო-განყოფილების უფროსი როინ ჩარგეიშვილი.

როინს ტყუილად როდი გამოხატვია სახეზე სიამოვნების ღიმილი. მის წრეში (იგი ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის რადიოლაბორატორიის გამგეა) 200-მდე თბილისელი მოსწავლე ითვლება. ეს — თბილისელები! — მაგრამ, აბა, გამოფენას გადავხედოთ: ქუთაისი, ცხინვალი, ბათუმი, გორი, სოხუმი, — უხვადაა ასეთი წარწერები გამოფენის ექსპონატებზე.

აი, ფოთელი მოსწავლის პეტრე ულამოვის მიერ დამზადებული რადიოტელეფონი. იგი ჩვეულებრივ, რადიორეპროდუქტორის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ... უცებ რადიოგადაცემა წყდება და გაისმის ტელეფონის ზარის წკრიალი — რადიორეპროდუქტორი საჭიროების შემთხვევაში ტელეფონად იქცევა.

თბილისის 86-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევარი „ორარხიანი გამაძლიერებელი“ პირველ პრემიაზე წარუდგენიათ. ჯიბის მინიატურული რადიომიმღები დაუმზადებია თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მერვეკლასელ ირაკლი არველაძეს. თემურ თვაურის სუპერგეტეროიდული ჯიბის რადიომიმღები მოკლტალღებზე მუშაობს. 144-146 მეგაჰერცზე გადასცემს დავით თარხნიშვილის რადიოგადამცემი.

ორიგინალური და რთულია ცხინვალელი რუსუდან ცხოვრებოვის „კოსმოსური ყველგანმავალი“, — მუხლუხოებზე შემდგარი მანქანა რადიოსიგნალებით მიემართება ნებისმიერი მიმართულებით. ვლადიმერ ჯანევის „ავტომატური გამომცნობი“ ნამდვილი გულთმისანია. საკმარისია რიცხვი ჩაიფიქრო, და მანქანა მყისვე სპეციალურ მაჩვენებლებზე აანთებს თქვენს მიერ ჩაფიქრებულ რიცხვს.

აი, ყელსახვევიანი ნორჩი მეხანძრის გამოსახულება, რომლის ავ-



თითქოს ასაფრენად ემზადება რეაქტიული თვითმფრინავი.

ქიმიის განყოფილება ნამდვილი მოქმედი ლაბორატორიაა.

ტორია გურამ ახობაძე. აბა, სცადეთ და სახესთან მიუტანეთ ანთებული ასანთის ღერო. იმ წამსვე დაფაზე წითლად აინთება: „ცეცხლს ნუ ეთამაშებით!“ და ყელსახვევიანი „ნორჩი მეხანძრე“ სულის ერთი შებერვით აქრობს ანთებულ ასანთს.

●

კიდევ ბევრი თქვენი თანატოლის ნამუშევარია ყურადღების ღირსი. ფანტაზია, გულმოდგინება, სიბეჯითე, სწავლისა და შრომის სიყვარული, — აი, რა ეტყობა მათ მიერ დამზადებულ ექსპონატებს.

გავა დრო და, თქვენ— ნორჩი ტექნიკოსები — უფროსებისაგან ესტაფეტას მიიღებთ. მანამდე კი ბევრი, ძალიან ბევრი უნდა ისწავლოთ.

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲯᲔᲚᲘᲫᲔ

ფოტო **ᲐᲜᲖᲝᲠ ᲩᲘᲒᲝᲒᲘᲫᲘᲡᲐ**



ᲠᲔᲒᲔᲢᲘᲜᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲡᲙᲣᲠᲐᲕᲐ

მატარებელმა ნელი რწევით დატოვა სადგური. ასეა ყოველ ზაფხულს. — მერაბი, გია და მათი მამიდაშვილი რეზო სოფელში მიემგზავრებიან. რეზო და გია ფანჯარასთან იჭერენ ადგილს, იქვეა მათი პეპლის საჭერები, ანკესის ჯოხები. თაროზე ჩემოდანი დევს. ჩემოდანში რაღაც ხრაგუნობს და დაბლა სკამზე მჯდომ მოხუცს ძილს უფრთხობს.

მერაბს ეღიმება, — კარგად იცის, რაც ხრაგუნობს. რეზომ და გიამ ქილებითა და ყუთებით აავსეს ჩემოდანი; მერაბმა იცის, რომ ბიჭები დილიდან საღამომდე ტყე-ღრეში ირბენენ, დაიჭერენ პეპლებს, სხვა და სხვა ფერისა და სიდიდის კალიებსა და ხოჭოებს.

მატარებელი მოსახვევში მოირკალა. რეზო და გია ხელს უქნევენ წინა და ბოლო ვაგონის ფანჯრებში გადმომდგარ მგზავრებს.

დაბლა სკამზე მჯდომ მოხუცს, როგორც იქნა, ჩაეძინა.

— „საღამოობით, — განაგრძობს ფიქრს მერაბი, — მდინარეს მიაშურებენ...

— აი, გია! — აყვირდება რეზო.

— ჰო, არის!

— ფუჰ, ნავსიანია, — აბუზღუნდებიან.

ზოგჯერ, დაიჭერენ კიდეც.

— ჩუ, — ტუჩებზე თითის მიდებით აჩურჩულდება რეზო და გიას მოუხმობს.

— ჰოპ! — შეჰყვირებენ ერთხმად და... ნემსკავზე უმწეოდ ფართხალებს ლიფსიტა.

— ჰო, რა დიდია! — ხითხითებს გია.

— ეს ერთი და სხვა მრავალი! — ამბობს რეზო. ბიჭები კმაყოფილად იღიმებიან, თავი ვეშაპმჭერი ტრაულერის მებარჯეებად წარმოუდგენიათ.

ჭიაღუების და ბუზანკლების ჭერა, რა ვაჟკაცის საქმეა. აი, ბურთი მესმის! — მერაბმა ფანჯარასთან ჩამოკიდებულ ბურთს ახედა,—წელს შესანიშნავი გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება, თამაზი გაიზრდებოდა, ორ ნომრად გამოდგება. ჯუმბერისთანა ექვსი ნომერი საკლუბო გუნდსაც შეშურდება. ზურიკო და მალხაზი ხომ თავდამსხმელებად არიან გაჩენილნი. ცხრა ნომერი და კაპიტანი, რა თქმა უნდა, თვითონ იქნება. ყველაფერი რიგზეა, თუმცა — მეკარე? მეკარის საქმეა ცუდად. გურამს დედამისი არ ანებებს თამაშს, „ფეხი ტკივაო“; უნდა იღონოს რამე, იქნებ ნოდარი გამოდგეს? ვნახოთ!“

გია და რეზო უხმოდ იცქირებიან ფანჯარაში. მატარებელი მიჰქრის. მერაბი ორსიტყვიან წინადადებებს უწყობს თვლების მონოტონურ დაგადუგს. ელმავალი ბრჭყვიალა ნაპერწკლებს ისვრის, მთებიც გარბიან მატარებელთან ერთად, თითქოს გასწრება სურთო. აბა, ელმავალს რას დაეწევა ტყეებით დამძიმებული მთები. აგერ, მზე გადმოაგორდა უნაგირა მთას. ახლა ის დაედევნა მატარე-

ბელს. ელმაუალმა სვლას უმატა. მერაბი ვეღარ ასწრებს თვლების ხმაურზე ორსიტყვიანი წინადადებების მოფიქრებას. მზეც მოცურავს, აწეწილი ღრუბლებიდან იჭვრიტება და მწველ სხივებს უშენს ფანჯრებს. ელმავალმაც უმატა ნაპერწკლების ფრქვევას და... უკან მოიტოვა უნაგირა მთა. მთის იქეთ—„დაჯაბნებული“ მზე მიიმალა.

●

ბიჭებმა ნამგზავრზე წაიხემსეს. ბებიას მიკიბ-მოკიბულად უამბეს მშობლების დანაბარები და ეზოდან გავარდნენ.

— მერაბი ჩამოსულა. გამარჯობა მერაბ! როგორ ხარ?—შემოეხვივნენ ბიჭები მერაბს. ჯუმბერმა და გურამმა მერაბის ახალი ბურთი შეამოწმეს, რამდენჯერმე აჭკენწლეს კიდეც.

— აწი ნახონ გალმაუბნელებმა,— დაიწყო თამაზმა.

— რაო, გიგებენ? — იკითხა მერაბმა.

— საერთო ანგარიშით ჩვენ ვჯობივართ, ორი ქულით ვუსწრებთ. თუმცა, ბურთების სხვაობა მცირეა, ფეხდაფეხ მოგვდევენ, — სხაპასხუპით მოახსენა ზურიკომ.

— ვნახავთ, რა ბიჭებიც არიან, — იმედიანად თქვა მერაბმა.

მერაბმა ერთი აწოწილი ბიჭი დაინახა. მას მეზღვაურის ქუდი ეხურა. ქუდი ყურებამდე ჩამოფხატვოდა. ყურისძირებთან მერცხლის კუდებივით მოუჩანდა ჩამოზრდილი თმა, მეზღვაურისავე ზოლებიანი მაისური ეცვა. თვალები საოცრად მკვირცხლი და მოუსვენარი ჰქონდა, შარვლის აკაპიწებული ტოტებიდან გრძელი კანჭები მოუჩანდა.

„შესანიშნავი მეკარე იქნება. ნეტა ვინ არის?“— გაიფიქრა მერაბმა.

— აბა, წავიდეთ — დაიძახა აწოწილმა და შებრუნდა. მერაბმა „9“ დაინახა მის მაისურზე. გაფითრდა, აილეწა და თავი დახარა. ბიჭებს არ გამოპარვიათ მისი ბრაზიანი ჭვრეტა. მათ თითო-თითოდ დატოვეს მერაბი. იქვე ეგდო მერაბის ბურთი.

— წამოდი, მერაბ! — ოდნავ გასაგონად თქვა თამაზმა.

— ვერა, ვერ წამოვალ, ნამგზავრი ვარ.

თამაზს არაფერი არ უთქვამს, ბიჭებს დაედევნა. მათ აწოწილი ბიჭი მიუძღოდათ წინ; მერაბი ბიჭისკენ აღარ იხედებოდა, მაგრამ მაინც ხედავდა მის მაისურზე ქიმიური ფანქრით გამოყვანილ წაფერდებულ ცხრიანს.

●

იმ დღეს არსად არ წასულა მერაბი, აივანზე იჯდა.

„უყურე ამათ, ვითომდა მე არ ჩამოვაყალიბე მაგათი გუნდი! ბურთიც კი არ ჰქონდათ; მერე, რამდენი ვიწვალე ნაწისქვილევის ჭალაში მოედნის გაწმენდაზე!“

ფიქრი გიამ და რეზომ შეაწყვეტინეს. ისინი ჭიშკარში შემოვიდნენ,— კალათი მოჰქონდათ.

— პენსიონერებს გაუმარჯოს! რამდენი ვეშაპია დღევანდელ ანგარიშზე?! — გაჰკენწლა მერაბმა ბიჭები.

— შენ ისა თქვი, როგორ გამოგისტუმრეს, — დაცინვითვე გაეპასუხა ძმა.

„გაუგიათ, მაგ ეშმაკის ფეხებს. ესღა მაკლია, მაგათ დამცინონ“.

— აბა, შენ ჭკუით იყავი, თორემ, ხომ იცი! — დაემუქრა მერაბი და კიბეები ჩამოირბინა.

— ერთი გაბედე და ხელი მახლე! გახსოვს, რა დამბაბარა მამამ? თითიც რომ დამაკარო, პატარა წერილი და... — გიამ ხელი აიქნია, — „გაფრინდებიო“.

მერაბი შედგა; გიას მართლაც ასე დაუბარა მამამ,— მერაბმა თუ რამე დაგიშაოს, წერილი მომწერე და იმ წუთში წამოვიყვან სოფლიდანო. „ნეტამც ასე მოხდეს, რა აზრი აქვს სოფელში დარჩენას“, — გაიფიქრა მერაბმა და ძმისაკენ გაიწია.

— მერაბ,— ჩაერია რეზო, — იცი, ჩვენ ვინ ვნახეთ? აქ ჩვენი რაზმეულის საშეფო საბავშვო ბაღი ისვენებს. ბაბუა თევდორესთან გამოვიარეთ, ატმები მოგვცა. ხვალ ბანაკში მივდივართ, ბავშვებს საჩუქრები უნდა მივუტანოთ. ნახე, რა ატმებია! — რეზომ კალათიდან ორი გვერდშეწითლებული ატამი ამოიღო და მერაბს გაუწოდა.

— არ მინდა, — წაიბუზღუნა და ბიჭებს გაცილდა.

ჭიშკარში გასულს თამაზი შემოხვდა:

— რატომ გაგვიბრაზდი, მერაბ, ჩვენ ხომ...

— ერთი თქვენც... წიწილებივით აედევნეთ, — ვხედავ, რა ბიჭიც ჩანს „ცხრა ნომერი“.

— ადმირალი არ არის ცუდი ბიჭი.

— ადმირალი? — გაიცინა მერაბმა, — სახელი არა აქვს მაგ თქვენს ადმირალს?

— ავთო ჰქვია.

— მაშ წადი, იმ შენს ადმირალს მიხედე, ასიამოვნე.

— მერაბ, შენი საქციელი მაკვირვებს.

— იცი რა, თქვენთან ჭკუის სასწავლად არ ჩამოვსულვარ.

— ნეტავ, შენი რაზმელები იყვნენ ახლა აქ.

— შენ თავს გადიხარ, თამაზ... ადმირალმა ხომ არ გასწავლა ასე ჭიკჭიკი? ან იცი, რა არის რაზმი? მოუსვი, გესმის?!

თამაზმა პირდაპირ შეხედა მერაბს, რაღაც ჩაილაპარაკა და გაშორდა.

●

მერაბმა იმ ღამეს დიდხანს იბორგა და გვიან ჩაეძინა. დილით გია დაადგა თავზე. კარებთან რეზო ატუზულიყო.

— რა გინდათ ჩემგან? — შეეკითხა მერაბი.

— წელან თამაზი იყო აქ, — თქვა რეზომ, — შენ გიკითხა.

— რა უნდოდა. აკი მე ჩამოვშორდი მათ.

— შენ რაში ჭირდებოდი! ბურთი წაიღო,— თქვა გიამ.

— ბურთი?!—დაიყვირა მერაბმა და კიბეზე დაეშვა. უკან არ მოუხედავს, ისე გადაირბინა ქუჩა. მერე, მოკლეზე მოჭრით, ნაწისქვილევის ჭალაზე გაიჭრა.

ბიჭები ვარჯიშობდნენ. მერაბი შედგა. ბურთს ადმირალი მიათამაშებდა. იგი სწრაფად დარბოდა. ზუსტი გადაცემები ჰქონდა. კარში ნოდარი იდგა. ძლივს იგერიებდა ადმირალის დარტყმულ ბურთებს. „მოდი—ვცდი, ვნახოთ რა დამრტყმელიცაა“, — გაიფიქრა მერაბმა და ნოდარის ადგილი დაიკავა. ადმირალმა რამდენიმე გოლი გაიტანა სულ ხუთიოდე წუთში. მერაბი ადგილზე ხტოდა. ცდას არ აკლებდა, მაგრამ ბურთებს ვერ იგერიებდა. აი, ბურ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი ტრიალით წამოვიდა, კარის ძელს მოხვდა და მერაბს დაეჯახა. მერაბმა წონასწორობა დაჰკარგა და დაეცა. იგი სწრაფად წამოიჭრა, მისაშველებლად მისულ ადმირალს წინ დაუდგა.

— მაპატიე, თუმცა... რა ჩემი ბრალია, — თქვა ადმირალმა.

— უსუსურო, მხდალო! გეშინია და იმიტომ იხდი ბოდიშს, არა? — თქვა და... ადმირალს სილა გააწნა. მერე ბურთს დასტაცა ხელი და შინისაკენ მოჰკურცხლა.

•

მთელი სამი დღე ვერაფერს დაუდო გული მერაბმა; ჯერ ბაბუას წაჰყვა უანაში, მაგრამ მალე მოსწყინდა იქ ყოფნა. მეორე დღეს ბიძია კუკურის გაჰყვა სათიბში. გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის მუშაობას. ცელი ლაპლაპებდა, ლაპლაპებდა და სტვენდა. ესეც მოსწყინდა. — ხვალ სალამოს მატარებლით გავიპარებიო, — გადაწყვიტა და შინისაკენ გასწია.

— რაო, აგიწვეს? — ნიშნის მოგებით შეეკითხა გია.

— რას ბოდავ, ვის უნდა აეწვა?

— ვითომ არც იცის. სოფლის ბიჭებმა იმსჯელეს შენს შესახებ.

— იყბედონ, რამდენიც უნდათ.

— ნახავ, წერილს აგზავნიან ჩვენს სკოლაში, შენი რაზმის სახელზე.

— ვინ მისცა მისამართი!

— მისამართი მე მივეცი.

— რატომ მიეცი! თუმცა რა, მე მაგათი წერილის არ მეშინია. მიცნობენ როგორმე ჩემს სკოლაში. რაზმის საბჭოს თავმჯდომარეც ვარ და ხუთოსანი მოსწავლეც.

— ხუთოსნობა აქ არაფერ შუაშია. პიონერი კი...

— ცუდი პიონერი ვარ, არა?

— პიონერი ყველგან კეთილსინდისიერი და ამხანაგური უნდა იყოს.

— მაგათ რა იციან, რა არის პიონერი. ის აყლაყუდაც იქ იყო?

— ვინ აყლაყუდა?

— იქ იყო-მეთქი?!

— არ ვიცი, არ შემინიშნავს, — თქვა რეზომ.

ვიღაცამ ჭიშკართან დაიძახა. მერაბი გაიქცა. თვალებს არ დაუჯერა. ჭიშკართან ადმირალი იდგა. ისევ ისე ქუდჩამოფხატული, აკაპიწებული შარვლით და შავად მოცარგე თვალებით. ფეხებთან კალათა ედგა.

— რა გნებავს, რატომ შეიწუხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, — დაიწყო მერაბმა. — იქნებ ანგარიშის გასასწორებლად მობრძანდი?

— იცი რა, მოდი ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ, ჩხუბს მერეც მოვესწრებით,—ეს ისეთი ხმით თქვა ადმირალმა, რომ მერაბს უკან დახევა არ შეეძლო. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ატამი მოვიტანე, საბავშვო ბაღისათვის ნდომებიათ თქვენებს.

— ეს როდის გაიგე?—ჰკითხა მერაბმა.

— წეღან მითხრა თამაზმა. მე სამწყემსურში ვიყავი, ბაბუა თევდორეს გავეგზავნე და ეს ატამი **იმან მომცა.**

— შენ ჩემი გულისათვის გააკეთე ეს?

— რა შენი გულისათვის,— მთხოვა მოხუცმა და გავეგზავნე.

— მაშ შენ არაფერი იცი?

— ვიცი, თუმცა მაგას რა მნიშვნელობა აქვს. წერილი არ გაიგზავნება, მე ვარ თავდები...

— შენ? რატომ?—დაცინვით შეეკითხა მერაბი.

— ისე, — მოკლედ მიუგო ადმირალმა.

— რატომ გეძახიან ადმირალს?— დაბნეულად შეეკითხა მერაბი.

— ისე, უბრალოდ,—ალბათ, ჩაცმულობის გამო. მეც შევეჩვიე.

— მერე, გინდა ადმირალი გახდე?

— ტყუილი ოცნებაა. მათემატიკაში მიჭირს,—მასწავლებელმა თქვა, მეზღვაური მათემატიკის გარეშე შორს ვერ წავალ.

— იარე ჩემთან. ერთად ვიმეცადინოთ, —გამოცოცხლდა მერაბი.

— ძალიან კარგი. ოღონდ, ერთი რამ უნდა გთხოვო: ხომ იცი, ჩვენი მეკარე სუსტია. მართალია, გუშინ მოვუგეთ გაღმაუბნელებს, მაგრამ ისინი ემზადებიან და შესაძლოა მოგვიგონ კიდეც. შენ უნდა დადგე კარში.

— მე— კარში? მეკარედ?

— ჰო, შენ. და მოგებაც ჩვენი იქნება. ბიჭებიც ამ აზრისანი არიან.

მერაბი თავდახრილი იდგა.

— შევთანხმდით?

— ჰო,—ამოღერღა მერაბმა.

— მაშ, მე მოვალ დილით, — მამეცადინე. ვინ იცის, იქნება მართლა გავხდე ადმირალი.

ნახატები **დიმიტრი ერისთავისა**

ჯუჯი, ძია და ვიჯაგი

გიორგი ქაჭახიძე

ნახატები
დიმიტრი ხახუტაშვილისა

ის შერცხვენა, საყვედური
ამაყ ბიჭებს გულს ტკენს ახლაც:
თვალწინ ბურთი დაუტყვევეს
მთელი ეზოს დასანახად.

ბურთიც ისე რამ შეშალა,
რას გარბოდა კისრისტეხით,
თითქოს ჯერ არ მოხვედროდა
იმ ონავარს მათი ფეხი!

ჭიჭი

გიორგი სანაღირაძე

ჩვენს დაბაში ორი ბიჭი ცხოვრობდა.

ერთი მაღალი იყო, წითელი თმა ჰქონდა და **რეზო** ერქვა.

მეორე დაბალი იყო, შავი თმა ჰქონდა და სანდალა ერქვა.

სანდალა და რეზო მეგობრები იყვნენ.

ერთხელ, თევზაობიდან ბრუნდებოდნენ. ერთმა, რომელსაც რეზო ერქვა, ცარცის ნატეხს წამოჰკრა ფეხი, აიღო და მეგობარს უთხრა:

—გინდა, სპილო დავხატო?

—დახატე,— უპასუხა დაბალმა, რომელსაც სანდალა ერქვა.

რეზომ ცარცის ნატეხით კედელზე რაღაც ხაზები გაავლო, თავი მოუმრგვალა და ხორთუმი გაუკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს უწყინარ ძია თედოს
განა ვინმე გააბრაზებს?!
ჰოდა, რაღა ის თავნება
მას მიაწყდა აივანზე!

არ აცალა მოსვენება,
თავს დაატყდა ტახტზე მეხად...
რა კალამი გაუფუჭა,
რა სათვალე გაუტეხა!

ეს ორნი სავალალო
თითქოს იმ დღეს ედო ვალად,
და ძიასაც სხვა რა ექნა,—
შეიპყრო და გადამალა.

მაგრამ, დახეთ, აგერ ისევ
გადმოევლო ეზოს ბურთი,
ისევ-ისე აედევნა
ბიჭუნების მთელი გუნდი.

გაჭყვირიან:—რა ბურთია,
რა ალქაჯი ვიყიდეთო.
— მართლაც, მართლაც!—თავის ქნევით
გაიძახის ძია თედო,—
გინდ დამალე, გინდ დაჭერი,
მოგაწყდება მაინც კარზე,
არა, არა!—ახალ ბურთებს
რა გამოლევს ქვეყანაზე!

ჯიჯი

—ესაა სპილო?—გაიცინა დაბალმა.

—კი, სპილოა.

—სპილო კი არა, კატაა.

—თითონა ხარ კატა! —ეწყინა მაღალს, რომელსაც რეზო ერქვა.

იდავეს, იდავეს, ბოლოს გაიბუტნენ და სხვადასხვა გზით წავიდ-წამოვიდნენ.

ბიჭები მთელ კვირას არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, სათევზაოდაც ცალ-ცალკე დადიოდნენ, ბურთსაც ცალ-ცალკე თამაშობდნენ, ხის პატარა ნავებსაც ცალ-ცალკე აკეთებდნენ.

ერთხელ რეზოს უთხრეს: —სანდალა ავად არისო.

რეზოს ძალიან შეეცოდა სანდალა, გული სტკიოდა, —რატომ დავემდურეო. განიცდიდა ამას და, როგორც კი მოიხელთებდა დროს, სანდალას ოთახთან აიტუზებოდა...

...გარეთ მზე იცინოდა. ტყემლები ჰყვაოდნენ, მერცხლები დაფრინავდნენ. რეზომ აიღო სუფთა ფურცელი, ფერადი ფანქრები მოიმარჯვა და მზე დახატა. როცა მზის ხატვას მორჩა, ფურცლის ერთ კუთხეში ხაზი გაავლო, ხაზს ოთხი ტოტი გაუკეთა,—ორი ფეხი და ორიც—ხელი, მერე თავიც დააედგა და თმა წითლად შეუღება.

რეზო მიიპარა სანდალას ფანჯარასთან და დააკაკუნა. ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარა გაიღო.

—სანდალა, ავადა ხარ?

სანდალამ ჩაახველა.

—ჰა, გამომართვი, შენთვის დავხატე.

ფანჯარა დაიხურა, მაგრამ რეზოს კარგად ესმოდა, როგორ იცინოდა ვიღაც. რა თქმა უნდა, სანდალა იცინოდა. რეზოს ნახატით სანდალამ მძაფრად იგრძნო, რომ გარეთ მზეა, გარეთ ხეები ჰყვავიან და გარეთ ყოფნა ძალიან კარგია ახლა. მერე რეზომ დაინახა, როგორ გაიღო ოდნავ ფანჯარა და იქიდან თეთრი ფურცელი გადმოვარდა. რეზოს ნახატში ცვლილება იყო. წითური, სასაცილო ბიჭის გვერდით მეორე ბიჭი ეხატა. მეორე ბიჭს შავზე-შავი თმა ჰქონდა და ტანად უფრო პატარა იყო. რეზო მიხვდა: სანდალასაც უნდოდა გარეთ ყოფნა, სანდალასაც უნდოდა მზით გამთბარ ბალახში თამაში. რეზომ აიღო შავი ფანქარი და ბიჭების ხელები შეაერთა, რითაც მეგობარს უთხრა—შევრიგდეთო; ნახატი გაკეცა და ფანჯარაში შეაგდო.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ისევ გულიანად იცინოდა ვიღაც.

რა თქმა უნდა, სანდალა იცინოდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. მარქსი: თუ გინდა დაგკბე

კლუბი თავის მუშაობას იწყებს საუბრით მშვენიერების შესახებ. ამ საკითხზე თქვენთან სასაუბროდ დღეს ჩვენს კლუბში მოვიწვიეთ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი შოთა გაბილაია.

მდიდარი სულიერი კულტურა, მაღალი მორალი, მომხიბვლელი ყოფა და გარეგნობა, — აი, კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ყოველმხრივ, უნივერსალურად განვითარებული ადამიანი. — ასეთი უნდა იყოს მისი მშენებელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ასეთი ადამიანის ჩამოყალიბებაში არის ესთეტიკური აღზრდა, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს მას, უნერგავს ესთეტიკურ კულტურას, განსაზღვრავს მის შეხედულებებსა და გემოვნებას, მოქმედებს მისი ქცევის ნორმებზე.

„ადამიანი, — წერდა დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, — თავისი ბუნებით მხატვარია, იგი ყოველთვის ცდილობს, შეძლებისდაგვარად, გაალამაზოს თავისი ცხოვრება“.

ადამიანი მხატვარია არა – მხოლოდ მაშინ, როცა ქმნის ხელოვნების ნაწარმოებს, არამედ მაშინაც, როდესაც აღიქვამს მას.

ამიტომ, ესთეტიკური აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, გემოვნების გამომუშავებაა და არა მხოლოდ გონებრივი ჰორიზონტის გაფართოება, თეატრებში და კინოებში ხშირი სიარული ან ბევრი წიგნის წაკითხვა. ადამიანი შეიძლება ყველაფერ ამას აკეთებდეს, მაგრამ მაინც ძალიან შორს იდგეს ნამდვილი, ჭეშმარიტი ესთეტიკური კულტურისაგან, რომელიც ადამიანის ფსიქიკის განუყოფელი ნაწილია.

ამომავალი მზის, ამაყი ირმის, ყელმოღერებული გედის, მოჩუხჩუხე წყაროს, ნისლიანი, თითქოს ჩაფიქრებული მთების ნახვისას უეცრად ვამბობთ: — რა მშვენიერია!

ადამიანი ხშირად ხმარობს სიტყვას — მშვენიერება, ხშირად უწოდებს საერთო მოვლენებს, ქცევებს და მხატვრულ ნაწარმოებებს მშვენიერს.

რა არის მშვენიერება? შეიძლება თუ არა ლაპარაკი მშვენიერებაზე საერთოდ, თუ ყოველ ეპოქას, ყოველ კლასსა და ადამიანს მშვენიერების თავისებური გაგება აქვს? არსებობს თუ არა რაიმე, ყველასათვის მშვენიერი ან მახინჯი?

მშვენიერება ჩვენ გვხვდება ბუნებაში, საზოგადოებასა და ხელოვნებაში. როგორ არსებობს მშვენიერება ბუნებაში? არსებობს თუ არა იგი ადამიანისაგან დამოუკიდებლად?

ბუნების მოვლენებს გარკვეული თვისებები გააჩნიათ. ეს თვისებები ადამიანში იწვევს სილამაზისა და მშვენიერის შეგრძნებას, განცდას. მაგრამ ბუნება არ ანსხვავებს მშვენიერსა და მახინჯს. ისინი თანაბარი უფლებით არსებობენ ბუნებაში, წარმოიქმნებიან ბუნების კანონების შესაბამისად. განა ზოოპარკში ერთმანეთის გვერდით მრავალჯერ არ გინახავთ მშვენიერი ირემი და მახინჯი ბეჰემოთი?!

ბუნების მოვლენა ლამაზია ან ულამაზო, მშვენიერია ან მახინჯი მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი შეაფასებს მას. არ არსებობს ბუნებაში მშვენიერი, შემფასებლის, ადამიანის გარეშე, ისევე, როგორც არ არსებობს მშვენიერი, შესაფასებლის, ბუნების გარეშე. ბუნებაში მშვენიერება ადამიანის თვალით დანახული, „გაადამიანურებული“ ბუნებაა.

ამიტომ არ გვეუცხაურება, რომ „ნისლი ფიქრია მთებისა“, მზე იცინის, მთვარე ოცნებობს, ნიავს შორეული ამბავი მოაქვს და ჭადარი ყვება ზღაპარს.

მშვენიერება არსებობს საზოგადოებაშიც. იგი ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროსა და გარეგნული სილამაზის მთლიანობაა.

სულიერი სიმტკიცე, მაღალი იდეები, ადამიანისა და სამშობლოსადმი სიყვარული და სხვ. — ასეთია ადამიანის შინაგანი ბუნების მშვენიერება.

მშვენიერებას ასახავს ხელოვნებაც. ჩვენ უსაზღვროდ მოგვწონს და გვიტაცებს ხელოვნების უკვდავი ქმნილებები — ვენერა მილოსელი თუ ჩაიკოვსკის სიმფონია, რაფაელის მადონა თუ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ხელოვნებაში მშვენიერების ასახვას თავისებურება ახასიათებს. ხელოვნების ნაწარმოები მშვენიერია არა იმის გამო, რომ მასში მშვენიერი ბუნების ადამიანები არიან ასახული, არა იმიტომ მხოლოდ, თუ ვინ არის მასში ასახული, არამედ იმიტომ, თუ როგორ არის იგი ასახული. განა ლუარსაბ თათქარიძე ან დარეჯანი გამოდგებიან, როგორც მშვენიერი ადამიანების წარმომადგენლები?! ცხადია, არა! მაგრამ „კაცია ადამიანი?!“ განა ხელოვნების უკვდავი ქმნილება არაა?! ილიას სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მან ოსტატურად დაგვიხატა გონებაჩლუნგი და ცხოველად ქცეული ფეოდალის სახე. ამან აქცია ილიას ნაწარმოები ხელოვნების მშვენიერ ქმნილებად.

მწერალი, მხატვარი ან უშუალოდ გადმოგვცემს, გვაძლევს მშვენიერ ადამიანებს, დადებით გმირებს, რომლებიც კაცობრიობის უკეთესი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნებით, თვითონ უნდა იყო მხატვრულად განათლებული ადამიანი

ფელი ნაწილი, ბუნების, ცხოვრებისა და ხელოვნების ქმნილებათა სილამაზის სწორად შეფასების საფუძველია.

დიდია ადამიანის სწრაფვა ესთეტიკური სრულქმნისაკენ; სკოლის ეზო თუ საცხოვრებელი ბინა, ქარხნის საამქრო თუ ქუჩა, ბაღები თუ სკვერები ადამიანის ხელითაა შექმნილი არა მხოლოდ მოსახერხებელი ცხოვრებისა და შრომისათვის, არამედ მისი სილამაზით დატკბობისა და სიამოვნებისათვისაც. „ადამიანი ქმნის სილამაზის კანონების მიხედვით“ (კარლ მარქსი).

ლამაზი გარემო, ლამაზი ქცევა, ლამაზი პეიზაჟი თუ ლამაზი სურათი ადამიანს უნერგავს შემოქმედებითი შრომის ხალისს, სამოქმედოდ განაწყობს მას. ამის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა, მისი გარდაქმნა.

ამიტომაა ხელოვნება ხალხის საკუთრება, ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხალხის, განსაკუთრებით, საბჭოთა ახალგაზრდობის, რომელმაც კომუნიზმში უნდა იცხოვროს, ესთეტიკურ აღზრდას ესოდენ დიდი ყურადღება აქვს დათმობილი.

ამ დიდ და საპატიო საქმეს ხელი მოჰკიდა ჩვენმა ჟურნალმა; მისმა სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა თქვენთვის, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, გახსნას „ესთეტიკური აღზრდის კლუბი“, რომლის მიზანია დაგეხმაროთ თქვენ, აღიზარდოთ მაღალი ესთეტიკური კულტურის ადამიანებად, დახვეწოთ და სწორი გზით წარმართოთ თქვენი გემოვნება. კლუბში, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე თქვენთან სასაუბროდ, მოვიწვევთ მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, მწერლებს. ალბათ, ყველა თქვენგანს აინტერესებს, რა საკითხებზე ესაუბრება კლუბი მკითხველებს: ეს იქნება საუბრები სილამაზის, მშვენიერების, ხელოვნების, ფერწერის, მუსიკის, კინოს, თეატრის, გემოვნების, ეთიკის, მორალის საკითხებზე. ჩვენს ახალ კლუბს ძალზე ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი; ეს საქმე რთულია და საჭირო, მასში აუცილებელია თქვენი აქტიური მონაწილეობა; ამიტომ—ყოველი ახალი თემის გაცნობის შემდეგ, მოგვწერეთ თქვენი აზრი, რა ვერ გაიგეთ, რა შეკითხვები აღგეძრათ, კიდევ რა საკითხებზე ისურვებდით საუბარს.

მავლისათვის ბრძოლას ეწირებიან, ან სასტიკი სამსჯავროს წინაშე აყენებს ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებისათვის ხორცმეტად ქცეულან (უარყოფითი გმირები). დადებითი გმირების დახატვისას მწერალი გვიჩვენებს, როგორი უნდა იყოს მისი აზრით ადამიანი. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, უარყოფითი გმირების საშუალებით, კი—როგორი არ უნდა იყოს ადამიანი, მისი ცხოვრება.

ორივე შემთხვევაში მწერალი ადამიანის ცხოვრების შემფასებელია. ამ შეფასებას იგი ახდენს თავისი მსოფლმხედველობის მიხედვით. მსოფლმხედველობა არის მთელი სინამდვილის—ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ აზრებისა და წარმოდგენების სისტემა, მთლიანობა. მის საფუძველზე იქმნება იდეალი, რომელშიც ჩანს, როგორ წარმოუდგენია მწერალს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, მისი მომავალი. რაც ამ იდეალს შეესატყვისება, იგი მწერლისათვის მშვენიერია, რაც ეწინააღმდეგება მას—მახინჯია და ულამაზო. მშვენიერება არის განხორციელებული იდეალი.

სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს განსხვავებული და, ხშირად ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა ჰქონდათ. იცვლებოდნენ კლასები, იცვლებოდა მსოფლმხედველობა და, მასთან ერთად—იდეალებიც, ხოლო ამ უკანასკნელთან—მშვენიერებაზე წარმოდგენაც.

მშვენიერებაზე წარმოდგენას განსაზღვრავს არა მარტო ის, თუ ვინაა ეს ადამიანი, რა წრეში იზრდება, რომელ საზოგადოებრივ ფენას ეკუთვნის, არამედ ისიც, — თუ სად ცხოვრობს იგი: თვალუწვდენელ ტრამალებზე მცხოვრებთ და მთებში გაზრდილებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ბუნების სილამაზეზე.

და, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ის, რაც ყველასათვის მშვენიერია, ყველაში იწვევს აღტაცებასა და სიხარულს, განურჩევლად დროისა და სივრცისა.

იური გაგარინმა დედამიწის გარშემო უმაგალითო ფრენისას აღტაცებით წამოიძახა: „რა მშვენიერებაა! უჩვეულო მშვენიერება, თითქოს რერიხის ტილოები იყოს!“

სილამაზითა და მშვენიერებითაა ადამიანი გარემოცული, ოღონდ საჭიროა მისი დანახვის სურვილი და უნარი. რა ღარიბი იქნებოდა ადამიანის სულიერი სამყარო, იგი მშვენიერებისადმი გულგრილი რომ ყოფილიყო. ადამიანი ალამაზებს თავის ცხოვრებას, სურს გახადოს იგი წარმტაცი და მშვენიერი. ამისათვის მან უნდა მოსპოს უსამართლობა და ძალადობა, ჩაგვრა და ტანჯვა, იბრძოლოს თავისუფალი და ლაღი ცხოვრებისათვის, ბედნიერი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის, რომლის დროსაც, როგორც მარქსი წერდა, „ყველას ექნება პური და ვარდები“.

რაფაელი „სიქსტის მადონა“ (დეტალი)

ჩანჩარი და ჩაუნჩარი ელექტრონი

ეილისი სკოლის წინ გაჩერდა. მანქანიდან გადმოვედი და ეზოში თავშეყრილი პიონერებისაკენ გავემართე. ბავშვებს თოხები ბალახზე დაეყარათ და რაღაცაზე გატაცებით კამათობდნენ. დამინახეს თუ არა, კამათი თანდათან მინელდა და მერე სულ შეწყდა.

— ერთ მათგანს მაინც რომ ვიცნობდე, მალე მოვძებნიდით საერთო ენას, — ვუთხარი დირექტორს შოთა ფილაურს და ბავშვებს მივესალმე

ჯგუფიდან ნაცრისფერმა თვალებმა შემომანათა და დაკვირვებით დამაცქერდა. მომეჩვენა, რომ ეს თვალები სადღაც მენახა. სანამ სხვებს ვეცნობოდი, ნაცრისფერთვალება გოგონა ყელსახვევის ბოლოებს აწვალებდა და ცდილობდა, რაღაცა გაეხსენებინა. ვერც მე მოვიგონე, ვის ჰქონდა ასეთი თვალები.

იქვე მოლზე დავსხედით და ვსაუბრობდით იმაზე, რაზეც საერთოდ საუბრობენ ახალგაცნობილები. სხვათაშორის, ბავშვებმა მითხრეს, რომ გადაუღებელი წვიმების გამო კოლმეურნეობას სიმინდი ჯერ კიდევ გასათოხნი დარჩა. მერე მკითხეს, მომწონს თუ არა მათი სოფელი — ტუშურები.

მე ვთქვი, რომ ძალიან მომწონს და კარგადაც ვიცნობ მათ სოფელს, რადგან ამ შვიდიოდე წლის წინ მე და ჩემმა მეგობარმა მთელი ორი თვე დავყავით აქ; მაშინ ჩვენ უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტები ვიყავით და ამ სოფელში საენათმეცნიერო ექსპედიციას ვახლდით.

— ოი, მართლა! — წამოხტა ნაცრისფერთვალება გოგონა და მეც ერთბაშად გამახსენდა პატარა ევა.

მაშინ ევა პირველ კლასში იყო.

— დღეს წიკვლიანთკარში წავიდეთ! — ამოიჭრებოდა აივანზე ევა, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ გვეძინა. — არსენაანთ, ბებერმა ზღაპრები იცის ბევრები. — სოფელშიც ასე ამბობდნენ და ჩვენც ვიწერდით: „ზღაპრები ბევრები“.

მერე, თუკი არსენაანთ მოხუცი გაჭირვეულდებოდა, ან ზღაპრის მოყოლის ხასიათზე არ იყო, ევა ყელგადაგდებული ეხვეწებოდა: — ბებო, სტუმრების ხათრისთვის მაინც მოყევი.

როცა მეზღაპრე ეშხში შევიდოდა და გვარწმუნებდა: ხევსურთ სოფლის შემოსასვლელში მეურმეებს კუდიანი შემოხვედრიათ ამ წინაზე, ხარგაშვების ყამსო და ჩვენ ამას ვიწერდით, — ევას უკვირდა: კუდიანები მართლა რომ არ არსებობენ, რატომ იწერთო. ჩვენს პატარა მეგზურს ავუხსენით, რომ მოხუცის ნაამბობი ენობრივი თვალსაზრისით გვაინტერესებდა; მაგალითად, გამოთქმა: „ხარგაშვების დრო“, — როცა გლეხი თვითონაც ისვენებს და ხარსაც გამოხსნის უღლიდან დასასვენებლად.

ეს ყველაფერი ერთბაშად გამახსენდა, როცა ევა წამოხტა და „უი, მართლაო“, — დაიძახა.

ჩვენ, როგორც ძველ მეგობრებს შეჰფერით, მოვიგონეთ ძველი ამბები, — როგორ ავედით მთაში მეცხვარეებთან მესაქონლეობის ტერმინების ჩასაწერად, უფრო კი იმიტომ, რომ ნამდვრილი მეცხვარეები გვენახა. მანამდე მე და ჩემს ქალაქელ მეგობარს გვეგონა, რომ მოლზე წამოწოლილი მეცხვარე სალამურს ააკვნესებდა და ცხვარსაც მეტი არა უნდოდა რა. სალამური კი მათ სულაც არ ჰქონდათ და, ცოტა არ იყოს, დამცინავადაც გაიღიმეს:

— ეჰ, შვილოსა, სალამურისათვის ვისა სცხელაო!

მოვიგონეთ „ოცნებათა საღამოებიც“. ჭვავის ყანაში ვიწრო ბილიკს ჩუმად მივყვებოდით. უნაგირა მთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვერზე ეკიდა უშველებელი მთვარე. ყანაში ქოთქოთებდა მწყერი, ან სადმე დაიჭახჭახებდა შაშვი, და მაინც — გასაოცარი სიჩუმე იდგა ირგვლივ. უცნაურია, — სიჩუმის შეგრძნებას უფრო ამძაფრებდა სოფლიდან ამოღწეული ძაღლის ყეფა.

— მაშინ ცოტათი კიდეც მეშინოდა, მაგრამ არ ვამბობდიო, — გამომიტყდა ევა. ყველას გაგვეცინა.

— ბიჭებო, ჩვენ ძალიან გაგვიტკბა დასვენება, — ხომ იცით, მოროდი დღეს უნდა დავამთავროთ, — თქვა ევამ და ახლახან შევნიშნე, რომ მკლავზე მას რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის ნიშანი ეკეთა. ჩემი პატარა მეგობარი უკვე მე-8 კლასში გადასულიყო.

— თუ ასეა, ავდგეთ, — ვთქვი მე.

თოხები ავიღეთ და სკოლის ნაკვეთისაკენ გავეშურეთ.

გზაში გავიგე, რომ ტუშურების საშუალო სკოლას დასამუშავებლად აღებული ჰქონია 7 ჰექტარი სიმინდისა და ლობიოს ნათესი.

— მოსავალს როგორი პირი უჩანს?

— ჯერ ადრეა ამის თქმა, — გაეცინა ესტატე თანიაშვილს, — ჩვენ ცდას არ დავაკლებთ. სასუქები პირველი თოხნის შემდეგ შევიტანეთ.

მე დავინტერესდი, რა სასუქები შეიტანეს ნაკვეთში; ყველამ ნათან ბაგაშვილისაკენ მიიხედა, — შენ თქვიო.

ნათან ბაგაშვილმა თქვა:

— ძირითადად შეგვაქვს ორგანული სასუქები და მარტივი სუპერფოსფატები, რა თქმა უნდა, — პირველი გათოხნის შემდეგ. ეს ფოსფორმჟავას მარილებია და სიფრთხილეა საჭირო. — სიმინდის ფოთოლს რომ მოხვდეს, — დაწვავს, ამიტომ მხოლოდ კვლებს შორის შეგვაქვს. ჩვენი სკოლის ყველა საწარმოო კლასმა მთელი დღე იმუშავა და 3 ჰექტარზე ერთ დღეს შევიტანეთ სასუქი. თითო ჰექტარს, სულ ცოტა, თითო მანქანა სასუქი უნდა.

მე გამოვუტყდი ჩემს ახალ მეგობრებს, რომ თავის დროზე ქიმია ხეირიანად არ მისწავლია და ვთხოვე — შეეხსენებინათ ამ სასუქის ფორმულა. — ძალიან ადვილია, — თქვა ნათანმა, — ძირითადად ესაა $CaPO_4$ ან $CaH(PO_4)_2$.

— სხვათაშორის, მე და ეთერ კახაშვილს ოლიმპიადაზე ასეთი ექსპერიმენტი ჩაგვატარებინეს: კალციუმის იონებისაგან უნდა გაგვეთავისუფლებინა $Ca(NO_3)_2$ სწორედ წინა კვირას — ეს ექსპერიმენტი ჩავატარეთ სკოლაში და ამიტომ ძალზე გაგვიადვილდა ამოხსნა, — მითხრა ნათანმა.

მერე გავიგე, რომ ნათან ბაგაშვილს, სკოლის აღიარებულ ქიმიკოს გოგონას, ქიმიაში მაღალი შეფასება დაუმსახურებია სარაიონო ოლიმპიადაზე.

თოხნას შევუდექით.

საუბარში სვრელი ბოლომდე გავიტანეთ და ისევ ჩეროს მივაშურეთ. პიონერებმა ჩანთები გახსნეს და საუზმეს გემრიელად შეექცნენ. ერთი მოწნული ჩანთიდან ლურჯყდიანი სქელი რვეული გადმოცოცდა, — გადავშალე და წავიკითხე: „როგორ მოიტაცა არაგვმა... ბურთი“.

„გადაწყდა, — ამ შაბათს კოჭაყელაზე მივდივართ სალაშქროდ. ბიჭებმა დაიჟინეს: გინდა თუ არა, ანკესები წავიღოთ, არაგვში კარგი მურწა და ნაფოტა თევზი იცის, დავიჭიროთ და იქვე ნაკვერჩხლებზე შევწვათო. მერე ეშხში შევიდნენ და თემურ ცოცხალაშვილმა მოითხოვა: თოფიც წავიღოთ, გზადაგზა ეგებ ბორა ან შაშვი მოვკლათო; ის კი არა და, კოჭაყელას ტყეში ქვეყნის კურდღელი იცისო.

— შენი ნადირობის ამბავი რომ ვიცი, კურდღელს კი არა, დათვსაც მოკლავ და თოკის წამოღება არ დაგავიწყდეს, — გაეხუმრა თემურს იათამზე ვაჩნაძე.

ბოლოს, ჩვენმა პიონერხელმძღვანელმა ევა აბრამიშვილმა გვითხრა: თოფი არა და, ბურთის წამოღება მართლა არ დაგავიწყდეთო. მერე ჩვენს მესაყვირე აჩიკო არდაზაშვილსა და მედოლე გივი ბათირაშვილს მიუბრუნდა: — დილით სრულ მზადყოფნაში გამოცხადდითო.

საჩქაროდ დავიშალენით. რადგან ყველას გვინდოდა ლაშქრობაში ჩვენივე ნახელავი გემრიელი ნამცხვრები წაგვეღო...“

მე უცებ შემრცხვა, რომ უნებარ-

ბესარიონ სახ. ნაკ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვოდ სხვის დღიურს ვკითხულობდი, მაგრამ დღიური ჩემი პატარა მეგობრის, —ევა ქაჩლიშვილისა აღმოჩნდა. მან ნება დამრთო წამეკითხა, და თუ საჭიროდ ვცნობდი, სხვებისთვისაც მეამბო მის მიერ ჩაწერილი დღეების შესახებ. მე ვსარგებლობ ამით: აბა უსმინეთ, რა მომხდარა იმ დღეს:

„როცა „მობიბინენი და შვებით მომზირნი არაგვის პირნი“ დავინახეთ, გულმა, დიდი პოეტისა არ იყოს, არც ჩვენ გაგვიძლო და აქ დავცით ჩვენი ბანაკი.

გურამ ბათირაშვილმა — ჩვენი ფეხბურთის გუნდის კაპიტანმა და მარცხენა გარემარბმა, ზურგჩანთიდან ბურთი ამოიღო და თამაში გაჩაღდა.

— გოგოები — არა, ფეხბურთს ვთამაშობთ! — გამოაცხადეს ბიჭებმა.

— გვათამაშეთ ჩვენც, — მტკიცედ მოვითხოვეთ გოგოებმა.

მეკარე სოსო გიგაური დათმობაზე წავიდა:

— ჩავაყენოთ გოლში რომელიმე, მე წინ ვითამაშებ...

— შენ ხომ არ გაგიჟდი, — იტაცეს ბიჭებმა, — აბა, ტყუილად ხელს ნუ გვიშლით, — გვითხრეს და თამაში დაიწყეს. დაარტყა თუ არა პირველი საჯარიმო ზურაბ ტუშურმა, ბურთმა შხუილით გადაჭრა მოედანი და... პირდაპირ არაგვში ჩაეშვა.

ო, როგორ გაგვეხარდა, ტაში დავცხეთ! გურამი არაგვში გადაეშვა, მაგრამ რაღას დაეწეოდა.

ასე მოიტაცა არაგვმა ბურთი.

●

...ჩვენმა ბიჭებმა თავიანთ სახელოსნოში გააკეთეს ხის საყვავილე ყუთები. ჩვენ ვალში არ დავრჩით: ყუთები საუკეთესო მიწით ავავსეთ და

შიგ ჩავრგეთ სახლიდან მოტანილი ბატიბუტა, პატარძალა, კაკტუსი, საყურე, ფუქსი, დედინაცვლის ენა, ბალბა და ვარდიც კი... ლაზათიანი გამოვიდა. ასეთი ყუთების გაკეთება ჩვენც კი შეგვიძლია, მაგრამ ბიჭებს მაინც შევუქებთ: — შესანიშნავად გაგიკეთებიათ-თქო, — ვუთხარით.

●

...ჩვენი კონცერტი ზარიძეებშიც მოეწონათ და ტუშურებშიც. გურამ ძებნიაურმა კარგად დადგა „მთიულური“, „ყაზბეგური“ და „ძველი თბილისი“.

მე ვცეკვავდი „განდაგანას“, მეცვა მოლისფერი, აჭარული კაბა—ფართო, ყვითელი ქამრით. როენა ცოცხალაშვილი, ნაილი ვაჩნაძე და მაყვალა ჩიტაური ფანდურზე მღეროდნენ.

„კიდევ მოდითო“, — გვითხრეს სოფელში.

ოღონდ ცუდი ის არის, რომ ტუშურების კლუბის დამთავრებას არ დაადგა საშველი.

როდის გვექნება დიდი, ნამდვილი კლუბი?!.“

●

...ევა ქაჩლიშვილის დღიურში კიდევ ბევრი რამ იყო საინტერესო, მაგრამ, მისი ნებართვის მიუხედავად, ყველაფერს მაინც არ ვწერ.

შრომითა და ხალისით სავსე დღეებზე საუბარს როცა მოვრჩით, უკვე შეღამებულიყო.

სახლისკენ მიმავალ გზას ისევ გვინათებდა უნაგირა მთის წვერზე დაყუდებული მთვარე, ჭვავის ყანაში კი კვლავ ქოთქოთებდა მწყერი...

ნარგიზა მგელაძე

ნახატები **გიორგი როინიშვილისა**

პან ცედური და სხვა ბიჭები თეოდორისაგან გაიგებენ, რომ ლომები — მამბო და ბრიგიდა ცირკის „მსახიობები“ არიან. — დილით, რადიოში რომ გამოაცხადეს, დახმარებაა საჭიროო, — ჩვენ მაშინვე შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა, — ეუბნება თეოდორი პან ცედურს. თეოდორი იპოლიტ კვასის ნაცნობი გამოდგა... პან ცედური თეოდორს სთხოვს — დახმარება აღმოუჩინოს მარეკის პოვნაში...

პან ცედური, ალეკი და თეოდორი პეგუსებთან მივიდნენ. თეოდორი მარეკის მშობლებს დაპპირდა, რომ უსათუოდ იპოვნიდა მათ შვილს. გახარებული პეგუსები ეხვევიან და ჰკოცნიან თეოდორს. ამ დროს, პეგუსები მიიღებენ წერილს, რომელსაც ხელს აწერს იპოლიტ კვასი. თეოდორი ამტკიცებს, რომ წერილი იპოლიტ კვასის გამოგზავნილი არ არის. მაშ, რაშია საქმე? ალეკი თავის უბის წიგნაკში იპოვნის კვასის ხელწერას და მას წერილს შეუდარებენ. აღმოჩნდება, რომ წერილი ნამდვილად იპოლიტ კვასის ხელითაა დაწერილი. ყველას ეჭვი ებადება, შესაძლოა კვასს წერილი ძალად დააწერინესო. უცებ, თეოდორი მიხვდა: წერილში რაღაც საიდუმლო ცნობა იყო. აღმოჩნდება, რომ თითოეულ სტრიქონში რვა სიტყვაა, ეს კი რაღაცას უნდა ნიშნავდეს!.. წერილი გაშიფრეს დ ამოიკითხეს: „მე დამწყვდეული ვარ მათარით, პლიაცეკის ქვეშ“. ეს უცნაური წინადადება ყველას გააოცებს. თეოდორს არ უჯერებენ, რომ წერილში მართლაც ასე სწერია, თეოდორი — კი თავისას არ იშლის, ეს ფრიად საიდუმლო ცნობაა, — გაიძახის იგი. თეოდორი ამას გუმანით ხვდება, ხოლო რას ნიშნავს ეს ფრაზა — ამაზე იგი ბევრს ფიქრობს. თეოდორი ჯიუტად ამტკიცებს, რომ თუ შეძლებენ სიტყვების: „მათარა“ და „პლიაცეკი“ გაშიფვრას, ამით შემდგომი მოქმედებისათვის ძალზე საჭირო ცნობას მიიღებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედმუნდ ნიზიურსკი

ნახატები ბ. ვალაკასი

ჭარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი თავგადასავალი

ექსპერტ ცელესტინის მიხვედრილობა.

პირიდიონი მოქმედებს.

სამი საეჭვო ტიპი წმიდა გაზილის ეკლესიასთან.

— სეზამ, გაიღე!

ლინდეს სახელობის ვაჟთა თერთმეტწლიან სკოლაში დაიწყო დიდი შესვენება. ხუთასი ბიჭი გამოვარდა მწვანე, მზით განათებულ მოედანზე და ისეთი ყიჟინა და ღრიანცელი ატეხა, რომ მეზობელ სახლებში სასწრაფოდ მიხურეს ფანჯრები.

მხოლოდ ოთხი ბავშვი არ იღებდა მონაწილეობას თამაშში, — სპორტული მოედნის კუთხეში, წაბლის ქვეშ, სკამზე ისხდნენ და პატარა ქაღალდის ნაგლეჯს ჩაჰკირკიტებდნენ. ესენი იყვნენ ჩვენი ნაცნობები: თეოდორი და პირიდიონი, და კიდევ ორი ბიჭი, რომელთაც ზედმეტ სახელებად პინოქიოსა და ცელესტინს ეძახდნენ.

კაფანდარა პინოქიო მეხუთეკლასელსა ჰგავდა, თუმცა პირიდიონთან ერთად მერვეში სწავლობდა. ცელესტინი სქელი იყო და მაღალი, დიდი სათვალე ეკეთა; ეს ორი ბიჭი, ერთად რომ მიდიოდნენ, სპილოსა და კოღოს ჰგავდნენ.

— აბა, ცელესტინ, რას ფიქრობ ამაზე? — ჰკითხა თეოდორმა სქელ ბიჭს, რომელიც, ეტყობა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ცელესტინმა ამოიქსუტუნა და სახე მოიწმინდა.

— მათარა... მათარა უნდა ნიშნავდეს ბანდიტის გვარს, რომელმაც შეიპყრო მაძებარი კვასი, — ცხვირში ჩაიდუდღუნა ცელესტინმა.

— ჩვენს ნუსხაში არაა ასეთი გვარის მქონე ბოროტმოქმედი — წაიბურტყუნა პირიდიონმა.

— ალბერტ მათერი,— დაიქსუტუნა ცელესტინმა. — გაგიგონიათ ალბერტ მათერი?

— მართალია! — პირიდიონმა სქელ საერთო რვეულში ჩაიხედა, — ალბერტ მათერი უკვე ერთი წელია, რაც გამოუშვეს.

— ის ისეთი ეშმაკია და ისეთი ორგანიზატორული ნიჭი აქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში, ალბათ, ახალი ბანდა შეკრიბა, — თქვა ჩაფიქრებით თეოდორმა. — მაგრამ „მათარა“ — ჩემი აზრით, არ ნიშნავს მათერს.

— სხვაგვარად ვერ დაწერდა, — თქვა ცელესტინმა— ბანდიტებმა აიძულეს დაეწერა წერილი, რომელიც დაამშვიდებდა პეგუსებს და ისინი მილიციას არ შეატყობინებდნენ კვასის დაკარგვის ამბავს. მაძებარი კვასი დათანხმდა, რადგან ეს იყო ერთადერთი გზა — გამოეგზავნა დაშიფრული ცნობა თავისი ადგილსამყოფელის შესახებ. მათერის გვარს იგი ვერ ახსენებდა წერილში, ბანდიტები ასეთ წერილს არ გამოაგზავნინებდნენ. ნუთუ ასეთ რამეებზე უნდა მიხდებოდეს შენთან ლაპარაკი?

— კეთილი, მაგრამ მაშინ რას ნიშნავს სიტყვა „პლიაცეკი?“ იგი წერს, რომ ზის პლიაცეკის ქვეშ.

— დაშიფრული სახელწოდებაა მისი ადგილსამყოფელისა.

— ამას მეც კი მივხვდი, — ჩაიცინა პირიდიონმა.

ცელესტინი შეკრთა, მაგრამ გადმოკარკლული თვა-

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1—8.

ცნობილ ქართველ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, გრიგოლ აბაშიძეს დაბადების 50 წელი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა.

გრიგოლ აბაშიძეს 30 წლის მანძილზე თავისი მაღალმხატვრული ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით, რომანებით, დრამატული ნაწარმოებებით ბევრჯერ ალუფრთოვანებია ქართველი მკითხველის გული. გრიგოლ აბაშიძის ნაწარმოებებს დიდი ინტერესით კითხულობენ საბჭოთა ხალხები და საზღვარგარეთელი მკითხველები.

ჰუმანიზმი, სამშობლოს სიყვარული, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წარსული, გმირული აწმყო, დიადი მომავალი,—აი, გრიგოლ აბაშიძის შემოქმედების ძირითადი თემები და მოტივები.

დიდი გატაცებით კითხულობენ ჩვენი ბავშვები გრიგოლ აბაშიძის ნაწარმოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ნორჩი თაობის სულიერ ზრდასა და დავაუკაცებას, უნერგავენ მათ მაღალზნეობრივ იდეალებს.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, ჩვენი ჟურნალის მკითხველები გულითადად მიესალმებიან სახელოვან ქართველ მწერალს და უსურვებენ მას ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს; დაე, კვლავაც ბევრჯერ გაეხარებინოს გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებას ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობა, ჩვენი მოზარდი თაობა.

ლები წერილისთვის არ მოუშორებია.

—პლიაცეკი ნიშნავს იაცეკს, — დინჯად თქვა მან.

— რა? რა თქვი? — წარბები აჭიმა პირიდიონმა.

— პლიაცეკი — ეს იაცეკია.

— რატომ?

— პატარა რომ ვიყავი, — ამოიოხრა ცელესტინმა, — პატარა რომ ვიყავი, დედა მიკითხავდა წიგნს, რომელსაც ერქვა „ამბავი ორი ბიჭისა, რომლებმაც მოიპარეს მთვარე“...

— ვიცით, — თქვა პინოქიომ, — ეს ბიჭები იყვნენ იაცეკი და პლიაცეკი.

— მერე, რა გამოდის აქედან?

— როგორ თუ რა? — ახტა პინოქიო,—ეს ორი ბიჭი, როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავდა ერთმანეთს, ისინი სულ ეშლებოდათ ერთმანეთში: იაცეკს პლიაცეკს ეძახდნენ, პლიაცეკს — იაცეკს.

— დიახ... — ამოიოხრა ცელესტინმა, — სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ იაცეკი — ეს პლიაცეკია, პლიაცეკი კი — იაცეკი.

— დიდებულია, ცელესტინ, — გადაეხვია თეოდორი, — ახლა კი ყველაფერს მივხვდი. იპოლიტ კვასი იაცეკის ქვეშ არის დატყვევებული.

— რომელი იაცეკის ქვეშ? — წაილუღლუღა პირიდიონმა. — რა გემართება, შეფო?

—დღეს ფორმაში არა ხარ, პირიდიონ, — გაიღიმა თეოდორმა. — იაცეკის ქვეშ — ეს ნიშნავს: წმიდა იაცეკის ქვეშ. ესე იგი წმიდა იაცეკის ეკლესიის ქვეშ.

— წმიდა იაცეკის ეკლესიის ქვეშ?

— ეს ხომ შენს რაიონშია! ეკლესიაში, ალბათ, რაიმე მიწისქვეშა გასასვლელებიანი სარდაფებია, და ბანდიტებს იქა ჰყავთ გამომწყვდეული კვასი. ეკლესიის დარაჯიც, ალბათ, მათი თანამზრახველია.

— რა დროს ხუმრობაა?

— რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩემი აზრია, მაგრამ მოქმედების გეგმა ახლა უკვე ნათელია. პირიდიონ! შენ შენი რაზმით დაათვალიერებ წმიდა იაცეკის მიწისქვეშა გასასვლელებს და დაუყოვნებლივ დარეკავ საკომანდო პუნქტში.

იმ საღამოსვე მიიღო ცნობა თეოდორმა საკომანდო პუნქტში, მუეძინების ქუჩაზე: პირიდიონმა აცნობა, რომ ეკლესიის სარდაფები დაათვალიერეს, მიწისქვეშა გასასვლელები ვერ აღმოაჩინეს; დაუმატა, რომ სარდაფებში მონაზვნებს შენახული აქვთ კიტრისა და კომბოსტოს წნილით სავსე კასრები. შეატყობინა ისიც, რომ წმიდა ბაზილის ეკლესიასთან ვიღაც საეჭვო პირები შეამჩნიეს.

— ბაზილთან? — წამოიყვირა თეოდორმა.

— დიახ, ბაზილთან.

— ისინი შევიდნენ ეკლესიაში?

— არა, ეკლესიასთან გაუჩინარდნენ.

— დაწმუნებული ხარ?

— იქაურ ქსენძსა და ეკლესიის დარაჯს შევეკითხე. ეკლესიაში არავინ არ შესულა. საერთოდ, ეს ეკლესია პატარაა და თითქმის არავინ შედის შიგ.

— ხვალ დილითვე დაიკავეთ პოსტები, — თქვა თეოდორმა, — და დაადგინეთ, რომელი გზით დადიან ბოროტმოქმედნი. მე პირველი საათისათვის მოვალ იქ.

— არის, შეფო,— პირიდიონმა დაკიდა ყურმილი.

მეორე დღეს პირიდიონმა თავისი რაზმითურთ დილიდანვე დაიკავა სათვალთვალო პოსტი წმიდა ბაზილის ეკლესიასთან. ქსენძი მართალი იყო. —ეკლესიაში არავინ არ შესულა. ათ საათზე დარაჯმა დაკეტა ეკლესიის კარი.

— ჩვენც წავიდეთ, — უთხრა პირიდიონს იურეკ კოსმამ. — ეკლესია დაკეტილია, აბა ვინღა შევა.

— თორმეტამდე დაველოდოთ. — უპასუხა პირიდიონმა და გასაღებების აცმას შეხედა, რომელსაც დარაჯი მიაჩხარუნებდა და ნელ-ნელა ეფარებოდა თვალს. —ბავშვებო, გახსოვდეთ, პირობა-პირობაა, — პოსტები არ უნდა დავტოვოთ. ჯგუფად რომ ვიდგეთ და ეკლესიის კარს მივაჩერდეთ, ასე არაფერი არ გამოვა.

უსაქმურობისაგან დაღლილმა ბავშვებმა უხალისოდ დაიკავეს თავთავიანთი პოსტები ბებერი წაბლის ხეების ქვეშ. მზვერავები რომ გაეხალისებინა, პირიდიონმა ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მათგანს თითო ყუთი მზესუმზირა დაურიგა. მაგრამ ამან სრულიადაც ვერ გამოასწორა მდგომარეობა. ბავშვებს მოსწყურდათ და პირიდიონი ლიმონათისთვის წავიდა. ფარდულთან ორი მელოტი კაცი იდგა და დინჯად სვამდნენ ლუდს, თან მალიმალ იხედებოდნენ საათებზე.

ერთი მათგანი მხარბეჭიანი იყო,—ორი მეტრი სიმაღლისა იქნებოდა. ჩაჩეჩქვილი ცხვირი და გორილასავით დიდი თათები ჰქონდა. პაპანაქება იდგა, მას კი შავი ხელთათმანები ეცვა, რომელთაც ბენზინის სუნი ასდიოდა; მეორე კაცი ისეთი ელამი იყო,—ძალიანაც რომ მოგესურვებინათ, ვერ გამოარკვევდით, რომელ მხარეს იხედებოდა.

პირიდიონს უნდოდა კარგად დაკვირვებოდა უცნობებს, მაგრამ გაახსენდა თეოდორის ბრძანება და წესდების მეთოთხმეტე პუნქტი, რომელიც უკრძალავდა მათ ქუჩაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რითიმე მიეპყროთ გამვლელთა ყურადღება. მაინც არ უნდოდა დაეკარგა მხედველობიდან ეს ორი ტიპი. რაც შეიძლება დიდხანს დაყოვნდა ფარდულთან. დიდხანს ეძებდა და მერე დიდხანს თვლიდა ხურდას; ბოლოს, მოითხოვა—სხვადასხვანაირი კამფეტები აეწონათ ორმოცდაათ-ორმოცდაათ გრამობით და სათითაოდ დაეთვალათ „ირისი“.

ამასობაში გავიდა ათი წუთი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არც ერთ და არც მეორე კაცს სიტყვა არ დაუძრავს. ის იყო, პირიდიონმა გაიფიქრა: აქ დგომით არაფერი არ გამოვაო, რომ უეცრად ქუჩის მოსახვევიდან გამოვარდა აქლოშინებული, წარმოსადეგი შესახედაობის წვერიანი კაცი. ხელში გაბერილი პორტფელი ეჭირა. როგორც კი წვერიანი კაცი დაინახეს, ორმა უცნობმა მყისვე მიატოვა ლუდის სმა და კვალდაკვალ გაედევნენ მას.

პირიდიონს ერთი წამით თითქოს გული გაუჩერდა. ისინი წმიდა ბაზილის ეკლესიისაკენ მიიჩქაროდნენ. „ნუთუ?.. მაგრამ ეკლესია ხომ დაკეტილია?! შეუმჩნევლად უნდა ვუთვალთვალო—სხვა გზა არ არის“.

საიდუმლო სამეული ეკლესიის სამხრეთ კედელთან იასამნების ბუჩქნარებში გაუჩინარდა.

პირიდიონმა შორიდანვე მისცა ნიშანი ბავშვებს, რომლებიც წაბლის ხეებს უკან იმალებოდნენ. მათ მაშინვე მიირბინეს ბუჩქებთან, ფრთხილად გადაწიეს ყვავილებით დახუნძლული ტოტები და ნელ-ნელა წავიდნენ წინ. უეცრად შეჩერდნენ. პირიდიონმა მათთან მიირბინა.

—რა იყო?—ძლივს სუნთქავდა იგი. ბავშვები შიშისაგან თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდნენ მას.

—გაუჩინარდნენ,—თქვა ნუდისმა.

— როგორ? სად გაუჩინარდნენ? — წაიჩურჩულა პირიდიონმა და ტოტები გადაწია.

—იქ,—მიუთითა ნუდისმა.

—ნუ სულელობ,—შეაწყვეტინა გაბრაზებულმა პირიდიონმა,—როგორ თუ გაუჩინარდნენ? კედელმა ხომ არ ჩაყლაპა?

ესა სთქვა და სხვა ბავშვებიც ბუჩქნარში მოიხმო.

—ხომ არ დაგინახავთ, საით წავიდნენ ისინი?—მკაცრად იკითხა მან.

—ვინ „ისინი“, ვისზე გვეკითხები?

—აი, იმ სამეულზე. ერთი ისეთი ზორბაა—ორი მეტრი სიმაღლისა იქნება. არ შეიძლება, არ დაგენახათ.

—ჩვენ არავინ არ დაგვინახავს.

—არა, არ შეიძლება, რომ არ დაგენახათ! კედლის გაყოლებით მიდიოდნენ!—დაიყვირა პირიდიონმა.—თქვენ რა, გეძინათ?

—არავინ არ დაგვინახავს.

ბავშვები გაოცებული შეჰყურებდნენ პირიდიონს, ვერ გაეგოთ, რატომ ბრაზობდა ასე.

— ხომ გითხარით, ის არამზადები აორთქლდნენ-მეთქი,—კმაყოფილი ღიმილით თქვა ნუდისმა.

—სისულელეა.

პირიდიონმა მიირბინა ეკლესიის კედელთან და დაკვირვებით დაუწყო თვალიერება.

მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა ნიშმა გარეთა კედელზე, ნიშში—ძველი, გაბზარული ბარელიეფი იყო, რომელიღაც ანაფორიანი წმიდანისა.

პირიდიონი დაიხარა და ყურადღებით დააკვირდა მიწას. სამწუხაროდ, ვერავითარი კვალი ვერ შენიშნა, რადგან კედელს მიჰყვებოდა, სულ ცოტა, ორი მეტრი სიგანის ქვიშოვანი ტროტუარი.

ქვისთვალებიანი წმიდანი ნაღვლიანად და თითქოს ოდნავ დამცინავად იღიმებოდა. პირიდიონმა მხრები აიჩეჩა და კედლიდან გამოჩრილ ქვაზე ჩამოჯდა.

ამ დროს მოვარდა აქლოშინებული თეოდორი.

—რა ჰქენით? ხომ დაიჭირეთ ის ტიპები... ხმა ამოიღეთ!

პირიდიონი ზანტად წამოდგა.

—რა მოხდა? გაგისხლტნენ ხელიდან?

—მგონი ასეა.

—საით წავიდნენ?

—წარმოდგენა არა მაქვს.

—თქვენ რა გითხარით,—ტუჩი მოიკვნიტა თეოდორმა,—ამთქნარებდით ხომ, თქვე ბოთეებო!

ბავშვებმა თავები ჩაღუნეს.

—არა.—ხმამაღლა თქვა პირიდიონმა და თვალებში შეხედა თეოდორს,—ჩემი ხალხი ფხიზლად იყო. ამ მხრივ ისინი სანდონი არიან. მათ შეუძლიათ იწუწუნონ.

ილრინონ, ზოგ მათგანს პირის დაბანაც კი სძულს, მაგრამ სამსახურში ღირსეულათ უჭირავთ თავი.

—გასაგებია,—თქვა თეოდორმა,—წარმოვიდგინოთ, რომ ისინი გაუჩინარდნენ. მაგრამ თქვენ ხომ, ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ მიმითითოთ, საით წავიდნენ.

არავინ არ უპასუხა. ბავშვებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს.

—აბა, გაბედულად თქვით, სად შეიძლება იყვნენ ისინი. მიწის ქვეშ? ხეში?

—კედელში,—გამოეპასუხა პიკოლო.

—რა ადგილას?

—იქ, სადაც ბარელიეფია.

—ამ ნიშში?

—**დ ი ა ხ.**

თეოდორი ნიშთან მივიდა და გულდაგულ დაათვალიერა წმიდანის ბარელიეფი.

—არა, შეუძლებელია,—წაიჩურჩულა მან თავისთვის,—მაგრამ მაინც... გასაგებია! ახლა ყველაფერი გასაგებია!—უეცრად წამოიყვირა მან.

პირიდიონი და ბავშვები პირდაღებულნი შეჰყურებდნენ თეოდორს.

— ეს ხომ წმიდა იაცეკის ბარელიეფია,—აღგზნებით თქვა თეოდორმა.—სწორედ ამ იაცეკზე წერდა მაძებარი კვასი. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში. მე სულელი კი ვფიქრობდი, რომ წმიდა იაცეკის ეკლესიაზე იყო ლაპარაკი.

— თუ ასეა, — თქვა პირიდიონმა,—მაძებარი კვასი აქ სადღაც ახლოს უნდა იყოს; იგი ხომ წერდა, იაცეკის ქვეშა ვარ გამომწყვდეულიო.

—მართალია,—თქვა თეოდორმა,—იგი სადღაც აქ არის. იმ საეჭვო პირებს, რომლებიც ახლახან დაინახეთ, ალბათ შეეძლოთ, მოეთხროთ რაიმე ამის შესახებ. თუ გავიგებთ, საით გაუჩინარდნენ ისინი, ამით ჩვენ გავიგებთ, სად იმყოფება იპოლიტ კვასი.

— მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ? — უხალისოდ იკითხა პირიდიონმა.

თეოდორმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და, პასუხის ნაცვლად, თვითონ შეეკითხა.

—მავთული ხომ არა გაქვთ?

—რასაკვირველია გვაქვს, უფროსო,—თქვა პირიდიონმა.—ჩვენ ყოველთვის თანა გვაქვს საჭირო ხელსაწყო-იარაღები, წესდებით გათვალისწინებული ხელსაწყო-იარაღების მთელი კომპლექტი. პიკოლო,—მიმართა მან პატარა ბიჭს, რომელიც ზურგჩანთის სიმძიმის ქვეშ მოხრილიყო,—მომეცი აქ მავთული!

—ფოლადისა გინდა, სპილენძისა თუ ჩვეულებრივი რკინისა?—საქმიანად იკითხა პიკოლომ.

—ფოლადისა იყოს,—წაიდუდღუნა თეოდორმა,—ოღონდ, ჩქარა!

პიკოლომ გაუწოდა მავთული.

ყველა ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა თეოდორს. თეოდორმა მავთულის ბოლო ბარელიეფის ჭუჭრუტანაში შეყო. მავთული იოლად შევიდა. შემდეგ უკან გამოიღო, ისევ დაახვია გორგლად და პიკოლოს დაუბრუნა.

—აბა, ახლა ხომ გაიგეთ ყველაფერი?

ბავშვები პირდაღებულნი უყურებდნენ ხან ბარელიეფს, ხან თეოდორს.

—შენ გინდა თქვა, რომ შიგნით სიცარიელეა?—წაიჩურჩულა პირიდიონმა.

—სარდაფი?—ამოიოხრა პიკოლომ.

—შენ გგონია, ისინი ამ სარდაფში [illegible] იკითხა პირიდიონმა.

—მაგრამ, როგორ?—თვალებდაჭყეტილი პიკოლო გაოცებული შეჰყურებდა თეოდორს.—ამ პატარა ჭუჭრუტანაში ხომ თაგვიც ვერ შეძვრება.

—როგორ?. .—ჩაიცინა თეოდორმა.—აი, როგორ.

თეოდორი წმიდანის ხელს ჩაეჭიდა და მთელი ძალით გასწია მარჯვნივ. სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა, ბავშვები გაქვავებულნი ადევნებდნენ თვალს თეოდორის მოძრაობას. უეცრად გაისმა ღრჭიალი, თითქოს მაგარ საყრდენზე მძიმე ლოდი გააცურესო. ბარელიეფის მარჯვენა მხარე შეინძრა, ჯერ—ნელა, შემდეგ კი უეცრად მოსწყდა ადგილს. მიწისქვეშეთის სიგრილე ამოვარდა ხვრელიდან. ბავშვები ერთმანეთს ეჭეჭყებოდნენ, რომ ეს სასწაული დაენახათ. მალე წმიდანის მელოტი თავის ნაწილი, მისი მარჯვენა ყური, კაპიშონი და ხელი—ერთი სიტყვით, მთლიანად მარჯვენა ნაწილი—ერთ მხარეს გაიწია. გამოჩნდა სწორკუთხედი სივრცე, ნახევარი მეტრი სიგანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეოდორი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა გამოქვაბულის ქვედა ნაწილს.

—შეხედეთ, შეხედეთ! ყველაფერი ბურთულა საკისრების საშუალებით არის მოწყობილი.

მართლაც, ქვევით, ღარში ცივად ბრწყინავდნენ ყვითელ საცხწასმული ფოლადის ბურთულები.

— ყველაფერი მოხერხებულად არის მოწყობილი. ვინ მოიფიქრებდა, რომ აქ კარი იქნებოდა, — თეოდორმა საჩვენებლად კვლავ გამოწია ქვის კარი.

—ნახეთ, რა კარგადაა გამოყენებული ბარელიეფის ყოველი ჩაღრმავებული ადგილი, ბზარები და ნაფხაჭნები. სრულიად არ ემჩნევა, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება და მარჯვენა ნაწილი მოძრავია.

თეოდორმა საათს დახედა და თქვა:

—სამი მოხალისეა საჭირო. საშიში საქმეა,—მტრის ბუნაგში უნდა შევიდეთ. აბა, ვინ წამოვა?!

პასუხად გაისმა ერთსულოვანი ხანგრძლივი შეძახილი. ყველამ ასწია ხელი.

თეოდორმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— ყველას წაყვანა არ შემიძლია. კენჭი ვყაროთ. პირიდიონ, ეს საქმე შენ გევალება! მხოლოდ შვიდს წავიყვან.

პირიდიონმა ჯიბიდან ამოიღო შვიდი ირისი, აურია პიტნის კამფეტებში და ქუდში ჩაყარა.

კენჭისყრა მალე დამთავრდა. ბედნიერთა რიცხვში, აღმოჩნდნენ პირიდიონი, პიკოლო და ნუდისი.

— მაღლაც საჭიროა ხალხი.—თეოდორმა ყურადღებით შეხედა ბავშვებს.—თუ შვიდ საათამდე არ გამოვალთ, შეატყობინეთ მილიციას. ვინ არი თანახმა? საჭიროა სამი კაცი.

— ყველა!—გუნდად დაიძახეს ბავშვებმა.

— კარგი, დარჩით ყველანი. მხოლოდ ისე დაიმალეთ, რომ არავის ყურადღება არ მიიპყროთ. პირიდიონ, — მიმართა მან თავის თანაშემწეს, — ეს საქმე მეტად საპასუხისმგებლოა, შენ ამათთან დარჩები.

— მე წილად მხვდა სარდაფში ჩასვლა, — უკმაყოფილოდ თქვა პირიდიონმა.

— შენ აქა ხარ საჭირო, — მკაცრად თქვა თეოდორმა, მაგრამ მეგობრის სახეს რომ შეხედა, მხარზე ხელი მოხვია და წყნარად დაუმატა:—თუ მე დავიღუპები, შენ უნდა შემცვალო.

თეოდორმა შეამოწმა ელექტროფარნები, მავთულები, ასანთები და სხვა მოწყობილობანი.

— სურსათის საქმე როგორაა? — იკითხა მან.

— ცუდად, მეთაურო, — უპასუხა პირიდიონმა. — არ გვეგონა, რომ ექსპედიცია ამდენ ხანს გაგრძელდებოდა; გვაქვს ალუმინისწვენიანი ოთხი ბოთლი წყალი და ათი კოლოფი ნამცხვარი.

— იოლას გავალთ,—წაიდუდუნა თეოდორმა. —დრო არა გვაქვს. ექსპედიციას ვერ გადავდებთ, ისინი გაიგებენ და ყველაფერი დაგვეღუპება.

ერთი წუთის შემდეგ ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით გაუჩინარდნენ ბნელ შესასვლელში. ბოლოს თეოდორი ჩაეშვა.

— თვალყური ადევნე, აქ არავინ არ იყიალოს. შვიდ საათამდე ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. რომ შევალთ, — ქვის კარის დახურვა არ დაგავიწყდეს.

ესა თქვა და გაუჩინარდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

არსებობს მომღერალი ქანდაკებები, ქვები და ქვიშები, კლდეები და ხეობები. ეს ბუნების ერთ-ერთი საოცრებაა, რომელსაც უწინ ზეციურ ძალებს მიაწერდნენ.

სამი ათას ხუთასი წლის წინათ, ძველ ეგვიპტეში იყო ქალაქი ფივი, რომლის ნანგრევები დღესაც მოწმობენ ამ ქალაქის სიდიდესა და სილამაზეზე. იგი მდებარეობდა ნილოსის ორივე მხარეზე. მარჯვენა ნაპირზე, აღმართული იყო ღმერთი ამონის ქვის გიგანტური ტაძარი, ხოლო მარცხენა ნაპირი ითვლებოდა „მიცვალებულთა ქალაქად“ — აქ იყო დიდგვაროვან ადამიანთა სასაფლაო. ამ ადგილს ძველი ბერძნები „მემნონიუმს“ უწოდებდნენ. მემნონიუმის შუაგულში აღმართული იყო

ფარაონ ამენხოტეპ III ტაძარი, რომლის წინ იდგა ქვისაგან გამოთლილი ორი უზარმაზარი ქანდაკება, ერთი — ტაძრის ჩრდილო მხარეზე, მეორე კი — სამხრეთით. კვარცხლბეკის ჩათვლით, მათი სიმაღლე 21 მეტრს აღწევდა, ქანდაკებათა მხრების სიგანე 6,5 მეტრს უდრიდა, თითოეულის წონა კი — დაახლოებით 1200 ტონას. გამოსახულებანი ჰგვანან სავარძელში მჯდარ ადამიანს. ქანდაკების წარწერა გვამცნობს, რომ ფარაონ ამენხოტეპს გამოუკვეთია იგი მისი მამის — ამონის პატივსაცემად. საუკუნეებს გაუძლო ამენხოტეპის ქანდაკებებმა. მაგრამ პირველ საუკუნეში, ჩვენს ერამდე, ეგვიპტეში მოხდა დიდი მიწისძვრა და გამოფიტული ქვის ქანდაკებები დაინგრა. ფარაონ ამენხოტეპ III დიდების მოწმე ქვის გოლიათმა შეწყვიტა არსებობა. მაგრამ მოხდა საოცარი რამ... მისი დიდება ახლა იწყებოდა. სულ მალე მთელ იმდროინდელ მსოფლიოში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ ყოველ დილას, მზის ამოსვლისას, ამენხოტეპის დანგრეული ქანდაკება კვნესის და ეს კვნესა წააგავს ადამიანის კვნესასო.

ქანდაკება მართლაც კვნესოდა. ამ ამბავმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. გასაოცარი იყო — ჩვეულებრივი ქვა ადამიანის ხმით კვნესოდა. საინტერესოა, რომ ხშირად ქანდაკების შიგნიდან არა მარტო კვნესა ისმოდა, არამედ, — ცალკეული ბგერებიც.

„მოლაპარაკე ქანდაკება“ ინახულა რომის იმპერატორმა ადრიანემ, მაგრამ ამ დღეს ქანდაკება დუმდა. ამას ადასტურებს კვარცხლბეკზე შემორჩენილი წარწერა. იმპერატორის მეუღლემ საბინამ კიდევ ორი დღე დაჰყო ფივში და ბოლოს ქანდაკება „ალაპარაკდა“.

ლეგენდა მომღერალი ქანდაკების შესახებ დღესაც ცოცხლობს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. მემნონი ცნობილი იყო, როგორც ბერძნებისათვის ისე ეგვიპტელებისათვისაც. ქანდაკების დამდგმელის ნამდვილი გვარი — ამენხოტეპი — თანდათანობით დავიწყებას მიეცა და შემორჩა მისი ბერძნული სახელწოდება — მემნონი.

მაგრამ მუდმივი ამქვეყნად არაფერია და დადგა ამ საოცრების აღსასრულიც. ერთხელ ქანდაკების სა-

ნახავად ფივში ჩამოვიდა რომის იმპერატორი სეპტიმი სევერი. ბევრი იცადა იმპერატორმა, მაგრამ ქანდაკება დუმდა. იმპერატორს ძალზე შეეშინდა. ის მეტისმეტად ღვთის მოშიში კაცი იყო. ქანდაკების დუმილი ღვთის რისხვად მიიჩნია და ყველა თავისი ცოდვის მონანიების მიზნით ბრძანა ქანდაკების აღდგენა. იმპერატორის ბრძანება შესრულებულ იქნა. ქვის ქანდაკება კვლავ დადგეს კვარცხლბეკზე და... იგი სამუდამოდ დადუმდა. (ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის 13ს წელს. უკანასკნელი 70-ე წარწერა ამ წლითაა დათარიღებული).

ამენხოტეპის (ანუ მემნონის) ქვის ქანდაკება რომ სხვადასხვაგვარ ბგერებს გამოსცემდა, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, ამ მოვლენაში არც არაფერია ზებუნებრივი. მეცნიერებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს მსოფლიოს მრავალ ადგილას.

რა იყო ამენხოტეპის ქანდაკების ალაპარაკების მიზეზი? როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ქვის „ლაპარაკის“ მიზეზია ჰაერის გარკვეული მდგომარეობა და მზის სხივების მოქმედება მასზე. მართლაც, ამენხოტეპის ქანდაკება ხომ ყოველთვის არ მღეროდა. მან „ენა აიდგა“ მხოლოდ მიწისძვრის შემდეგ და აღდგენისთანავე — დადუმდა. ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობა, ქანდაკების ხვრელებში მისი მოძრაობა იწვევდა „სიმღერას“. ხომ ხმაურობს იატაკი დიდი სიცხის დროს, ან ფანჯრის ჩარჩოები და კედელი დიდი ყინვის დროს! ასეთი მოვლენა ჩვეულებრივი ამბავია შორეულ ჩრდილოეთში. ცნობილი ფაქტია, რომ სმოლენსკის კრემლის კედლები ზამთრობით „მღერიან“, თუმცა ამ მოვლენას არავინ არ აქცევს ყურადღებას და არც ზებუნებრივ ძალებს მიაწერენ.

ეგვიპტეში დღესაც არსებობს კარნაკის უზარმაზარი ტაძარი, აშენებული ფარაონ ტუტმოს I მიერ 1530 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მისი უზარმაზარი ქვის სვეტები ძალზე გამოფიტულია, ამიტომ კარნაკის ტაძარში, ისე როგორც ფივში, თითქმის ყოველ დილით ისმის უცხაური ბგერები.

ცნობილი ფრანგი მეცნიერები. ჟოლუა, დევილიე, კოსტა, ლენერი და შამპოლიონ-უმცროსი სპეციალურად გაემგზავრნენ კარნაკში; სვეტების „სიმღერის“ მიზეზი იგივე აღმოჩნდა, რაც მემნონის ქანდაკებისა. ქვების „სიმღერა“ შემჩნეული იყო ეგვიპტის ქალაქ სიენას ქვის სატეხშიც.

გამოირკვა, რომ ბგერებს გამოსცემენ არა მარტო ქვები, არამედ კლდეებიც. სინას ნახევარკუნძულზე ქალაქ ტურთან, წითელი ზღვის სანაპიროსთან, არის მთა ჯებელ-ნაკუგი, რაც ქართულად „ზარის მთას“ ნიშნავს. ეს მთა გამოსცემს უცნაურ ბგერებს და, რაც უფრო ზევით ავდივართ, მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივია ბგერები. ამ მოვლენას სპეციალურად სწავლობდნენ ინგლისელი მეცნიერები — გე, უელსტედი და უარდი, გერმანელი სიტცენი. მათ დაამტკიცეს, რომ მთა დაფარულია თეთრი, მსხვრევადი ქვიშაქვით, სადაც ზოგი ადგილი სავსეა სუფთა ქვიშის ნალექით. ქვიშაქვათა მოძრაობა უსწორ-მასწორო კლდოვან ზედაპირზე იწვევს ხახუნს, რასაც ხშირად თან სდევს უცნაური ბგერები, რომელიც ზოგჯერ ორღანის ხმას მოგვაგონებს. საკმარისია ფეხი დაადგათ ამ ადგილს, რომ მაშინვე ქვიშაქვებმა ბგერები გამოსცენ.

ასეთივე მომღერალი კლდეა ავღანეთში, ქაბულის მახლობლად, მთა რეგ-რავანზე, რაც ადგილობრივ ენაზე „მერყევ მთას“ ნიშნავს. ჯებელ ნაკუგის მსგავსად ეს მთა დაფარულია თეთრი ქვიშაქვის სქელი ფენით, დაქანება დიდია. საკმარისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიაროთ ამ ადგილას, რომ კლდემ დოლის ხმა გამოსცეს. ეს — ქვიშაქვების მოძრაობისა და ურთიერთხახუნის შედეგია. ასეთივე მოვლენა ცნობილია ჩილში, მდ. კოპიანის ხეობაში, ელ-ბრამადორის მთაზე. თვით მთის სახელწოდება „ელ-ბრამადორ“ ნიშნავს — ყმუილს. მართლაც, მცირეოდენი ქარის დროსაც კი მთა გამოსცემს ყმუილის მსგავს ბგერებს. კალიფორნიაში, კლამატის ქედზე არის რამდენიმე ბორცვი, რომლებიდანაც ქარის დროს მოისმის საკმაოდ ძლიერი კვნესა და ტირილი.

გამოჩენილმა მეცნიერმა ალ. ჰუმბოლდტმა სამხრეთ ამერიკაში მიგზაურობის დროს, მდ. ორინოკოს ხეობაში ნახა გრანიტის დიდი კლდეები, რომელთაც ადგილობრივი ინდიელები „მომღერალ კლდეს“ ან „მუსიკალურ ქვებს“ უწოდებდნენ. მართლაც, მზის ამოსვლისთანავე კლდიდან მოისმოდა ყრუ ხმები, რომელიც თითქმის ნახევარი საათი გრძელდებოდა. ალ. ჰუმბოლდტმა გამოიკვლია, რომ კლდეში ბევრი ხვრელი და ბზარია, დღისით ისინი ძლიერ თბება მზის სხივებით, ხოლო ღამით ვერ ასწრებენ გაცივებას; დილით ადრე ხდება ჰაერის ცირკულაცია, ჰაერის ნაკადი მოძრაობს ვიწრო ბზარებში, რაც თავის მხრივ იწვევს გარკვეულ ბგერებს.

კავახეთის ალპურ საძოვრებზე ბუნების ორ საოცრებას აქვს ადგილი. შაღალმთიან საძოვარზე, რომელსაც ქაჩალგორას ეძახიან, ქვის დიდი გროვაა. აქ კლდეში, პაპანაქება სიცხეში, წყაროს წყალი ისე ცივია, რომ ადამიანი ერთბაშად ნახევარ ჭიქასაც ვერ დალევს. დიდ სიცხე'ში წყარო ყინულით იფარება, ხოლო ზამთარში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბალია, წყალი თბილია. ეს მართლაც ბუნების საოცრებაა და ასეთი ბუნებრივი მაცივრები საქართველოში ბევრია. ამავე წყაროსთან, კარგ ამინდში, როგორც კი მზის პირკელი სხივები მიანათებენ ქაჩალგორას, კლდე იწყებს „სიმღერას“, მოისმის ვიოლინოს ხმის მსგავსი ბგერები. ეს ხმები მოვისმინე ორჯერ 1954 წლის ზაფხულში, სამეცნიერო ექსპედიციის დროს, მწყემს ზაქარია გულისაშვილთან ერთად.

„მომღერალი ქვიშების“ სახელწოდებით არის ცნობილი პატარა კუნძული ვიგი, შოტლანდიის სანაპიროსთან. კუნძულის ზედაპირი დაფარულია ოოლიტით, ე. ი. ნახშირორჟანგის კირის წვრილი და მრგვალი მარცვლებით. თითოეულ მარცვალში არის კვარცის ბირთვი. საკმარისია აამოძრაოთ ოოლიტის მარცვლები, რომ ისინი „ალაპარაკდებიან“. გერმანელი მეცნიერი მილერი წერს, რომ კუნძულ ვიგზე სიაოული ხიშნავს ერთგვარ მუსიკალურ გასეირნებას, რადგან ფეხსაცმლის დაწოლით ოოლიტის მარცვლები გამოსცემენ ისეთ ბგერებს, რომლის განმეორება არ ძალუძს არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტსო.

ფრანგმა მეცნიერმა ემილ სორელმა საინტერესო ცდა ჩაატარა. იგი თოფით ხელში დადგა ტრიალ მინდორზე და თოფის ლულა 45 გრადუსის დახრით მიაშვირა ქარის მიმართულებით. თოფი „ამღერდა“. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ როდესაც თოფი „მღეროდა“, სრულიად შეუძლებელი იყო განსაზღვრა, თუ რომელი მხრიდან მოისმოდა ხმა. სორელმა ერთ-ერთი ასეთი ცდის დროს მწყემსს დაუძახა და უთხრა:

— გესმით? გესმით? ეს ხომ ჩემი თოფი მღერის.

—მომიტევეთ, ბატონო, ეს—თქვენი თოფი კი არა, იმ სამრეკლოდან მოისმის ხმა, — მიუგო მწყემსმა.

ყველა ასეთ გაურკვეველ ჰაერს იძლეოდა, ვინც კი წინასწარ არ იყო გაფრთხილებული. მეტიც. ზოგი ამბობდა, რომ თოფი კი არ მღერის, არამედ მიცვალებულის ხმა მოისმის მიწიდანო.

სორელის ცდამ ერთხელ კიდეკ დაადასტურა ქვების, კლდეებისა და ქვიშების უშუალო დამოკიდებულება ჰაერის მოძრაობასა და ცვალებადობასთან, პირველ რიგში—ქართან.

ბუნების მოვლენათა შეუსწავლელობა მუდამ შიშს ზარს სცემდა უცოდინარ ადამიანს და ისიც, როგორც წესი, მისთვის შეუცნობ მოვლენას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდა.

ჯერ კიდევ ძველი დროის გამოჩენილი მწერალი და ორატორი ციცერონი ამბობდა, რომ „არაფერი აო ხდება მიზეზის გარეშე. რაც შეუძლებელია — ის არც არსებობს. თუ რაიმე ხდება—მაშასადამე, შესაძლებელია და სრულიადაც არა აქვს ადგილი რაიმე საოცრებასო“.

ის, რაც ძველად საოცრებად მიაჩნდათ, ამჟამად საოცრებას აღარ წარმოადგენს,—იმიტომ, რომ ადამიანმა შეისწავლა და გამოიცნო ბუნების მრავალი საიდუმლოება.

გრიგოლ ზარდალიშვილი

ნახატები **ზურაბ ფორჩხიძისა**

ოცი წლის ჯვეჯვეშ

(ფანტასტიკური მოთხრობა-ხუმრობა)

ვ. მალოვი ნახატები **ედუარდ ამბოკაძისა**

ერლი ალგებრის მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა. რაც არ იცოდა, რას უპასუხებდა, — ენა დაება, ორიანი მიიღო. მერხზე ისე მშვიდად დაჯდა — თითქოს აქ არაფერი არ მომხდარაო. ამან, რა თქმა უნდა, გააცა მის გვერდით მჯდომი ურანი, რომელსაც არასოდეს არ მიუღია ორიანი.

— ისეთი სახე გაქვს, თითქოს ოთხიანი ან ხუთიანი მიგეღოს,— ჩაუქილიკა ურანმა. ერლიმ არაფერი არ უპასუხა, გულში კი გაიფიქრა — ეეჰ, შენ რა იცი, მე რა მოვიგონეო, — და ოცნებას მიეცა...

დაფასთან ურანი გაიძახეს. ამოცანა, რომელსაც ერლიმ ვერაფერი ვერ გაუგო, ურანმა ათ წუთში ამოხსნა და ხუთიანი მიიღო.

— აქამდე სულ ოთხები მყავდა, დღეს პირველად მივიღე ხუთიანი. რომ იცოდე, როგორ გაეხარდება დედაჩემს! — უთხრა ურანმა ერლის.

ერლი ჰერში ერთ წერტილს მიჩერებოდა, ურანისაკენ არც კი მიუხედავს, ისე წაიჩურჩულა:

— შენ იცი, რა არის „დროის მანქანა?"

— „დროის მანქანა?" — გაიმეორა ურანმა, — როგორ არ ვიცი, ის ხომ უელსმა გამოიგონა ორასი წლის წინათ. საოცარია, რამ გაგახსენა ახლა ეს „დროის მანქანა".

— ის მე დიდ დახმარებას გამიწევს,— თქვა ეშმაკური ღიმილით ერლიმ. — არა, დღეის შემდეგ ორიანი აღარ უნდა მივიღო...

მეორე დღეს ერლიმ სკოლაში მოიტანა პლასტმასის პატარა ყუთი, რომელსაც წინა მხარეს გადასართავ-გადმოსართავი ბრჭყვიალა სახელურები ჰქონდა.

— ოჰო, ეს არის შენი „დროის მანქანა?" — თქვა ირონიული ღიმილით ურანმა, — სამი კონდენსატორი, ორი წინაღობა, მონჯღრეული ამპერმეტრი და პლასტმასის ლამაზი ყუთი!..

— შენ მასხრობ და... ჩემი მანქანა მართლაც ძალზე მარტივია. მიკვირს — რატომ აქამდე ვერ გააკეთა იგი ვინმემ. გუშინ, დაფასთან რომ ვიდექი, სულ ამ მანქანაზე ვფიქრობდი და...

— სწორედ ამიტომ მიიღე ორიანი, — უთხრა ურანმა.

— შენ ჩემს ორიანს თავი დაანებე. მოდი — ცდა ჩავატაროთ: წაიკითხე, რა რიცხვი წერია დაფაზე.

— ორი ათას ოთხმოცდათხუთმეტი წლის ოცდაერთი აპრილი,—წაიკითხა ურანმა.

ერლიმ დაატრიალა ერთი სახელური.

— შეხედე!

დაფაზე წარწერა შეიცვალა:

— ორიათას ოთხმოცდათხუთმეტი წლის ოცი აპრილი,—წაიკითხა მოზეიმე ხმით ერლიმ,—ჩვენ უკვე გუშინდელ დღეში გადავედით.

დაატრიალა სახელური—ძველი წარწერა გაჩნდა, დაატრიალა—ახალი, დაატრიალა—ძველი... ურანს გაოცებისაგან პირი დაეღო და ხმას ვერ იღებდა. ერლის სახე გაბრწყინებოდა და თვალები უციმციმებდა. აიღო და მისი მხსნელი „დროის მანქანა" ფრთხილად შედო მერხის უჯრაში.

— ახლა წარმოიდგინე, რომ მე ისევ გამიძახეს დაფასთან.

— და ისევ ორიანი მიიღე, არა?—როგორც იყო ხმა ამოიღო ურანმა.

— მოიცა, სული ნუ მიგდის, ყური დამიგდე: გამიძახებენ თუ არა, სახელურს დავატრიალებ და დროს უკან გადავწევ. ჩემი მანქანა უელსის მანქანისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ჩემთან ერთად წარსულში გადაჰყავს ყველა, ვინც კი დედამიწაზე ცხოვრობს; საქმე ის არის, რომ ამას ჩემს გარდა ვერავინ ვერ იგრძნობს. გგონია შენ იგრძნობ? არა, ჩემო ძმაო, აინუნშიაც ვერ მოხვალ, მე რომ არ გამენდო საიდუმლოება. მაშ ასე,—ვდგავარ დაფასთან... დროს უკან გადავწევ თხუთმეტი წუთით და მაშინ... კითხვა უნდა დამისვან თხუთმეტი წუთის შემდეგ. გავა თხუთმეტი წუთი და—ისევ დავატრიალებ სახელურს...

— გამოდის, რომ ვერასოდეს ვერაფერს ვერ გკითხავენ, არა?—გაიოცა ურანმა.—როგორ გინდა ორიანი გამოასწორო?

— მერე... როგორმე...—ენა დაება ერლის,—ოდესმე ყველაფერს ვისწავლი, კარგად მოვემზადები და... ვნახოთ.

ამასობაში გაკვეთილიც დაიწყო... მის დამთავრებას ოცდახუთი წუთი აკლდა, როცა ერლი დაფასთან გაიძახეს.

ერლიმ დაატრიალა სახელური; მასწავლებელი მაშინვე კლასის მეორე კუთხეში აღმოჩნდა,—ზუსტად იმ ადგილას, სადაც თხუთმეტი წუთის წინ იდგა! დაფიდან გაქრა ამოცანის პირობა; კედლის საათზე წუთების მაჩვენებელმა ისარმა თხუთმეტი წუთით უკან დაიხია. ერლი და ურანი თხუთმეტი წუთის განმავლობაში თვალს არ აცილებდნენ საათის დიდ ისარს.

გავიდა თუ არა თხუთმეტი წუთი, — მასწავლებელმა ერლი ისევ გაიძახა დაფასთან. წამსვე დატრიალდა „დროის მანქანის" სახელური და... ყველაფერი თავიდან დაიწყო.

— ე-ე!—წამოენთო ურანი, — ასე ხომ არასოდეს არ დამთავრდება გაკვეთილი?!

— დამთავრდება! — ღიმილით ჩაუკრა თვალი ერლიმ და სახელური მეორე მხარეს გადაატრიალა, —რა ბოთე ვარ, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრე.

დაირეკა ზარი. გაკვეთილი დამთავრდა.

— დაიწყო თუ არა გაკვეთილი— მაშინვე უნდა მომეწყო შესვენება, — იღიმებოდა ერლი.

— არა, ბიჭო, —არდადეგები!—აყვა ურანი...

ერლი მასწავლებლის მაგიდასთან მივიდა, ჟურნალში ჩაიჭყიტა, თავისი გვარის გასწვრივ თვალი გააყოლა... სახეზე წამოწითლდა და ურანს თითით ანიშნა,— აქ მოდიო...

— შენ ხომ მხოლოდ ერთი ორიანი გეწერა?!—გაიკვირვა ურანმა.

— რა ვიცი, — ახლა ორი ორიანია და... — ერთდროულად მხრებიც აიჩეჩა, წარბებიც აჭიმა, ტუჩებიც გამობურცა და ხელებიც გაშალა ერლიმ,— ბოლო ორიანი დღევანდელი რიცხვითაა დათარიღებული!...

ერლიმ „დროის მანქანა" აამუშავა და დრო ნახევარი საათით უკან გადაწია. მაგრამ, ეტყობა, სადღაც შეცდა და დროის ანგარიში აერია.



მასწავლებელი კი უკვე მესამედ იმეორებდა:

— ერლი, შენ გეუბნები, გამოდი დაფასთან.

ერლი უხმოდ წამოდგა, დაფასთან მივიდა, ამოცანა წაიკითხა და ჩაიბლუკუნა:

— მასწავლებელო, დღეს არა ვარ მზად!

აი, სწორედ მაშინ მიიღო ერლიმ მეორე ორიანი.

— არაფერია!, — თქვა მან ისეთი ხმით, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო, — ახლავე დავბრუნდები გუშინწინდელ დღეში. მე ხომ გუშინწინ არც ერთი ორიანი არ მყოლია!..

— გუშინწინ არც ერთი ორიანი არ გყოლია?! მაშინ, ხუთიანიც გაქრება,— მე ხომ შენს შემდეგ ვუპასუხე, — გაცხარდა ურანი, — არა, არა,—დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის.

— კი, მაგრამ... ჩემი ორიანი?—თქვა ერლიმ.

— კი მაგრამ... ჩემი ხუთიანი? არა, ძმაო, ისწავლიდი გაკვეთილს და არ დაგიწერდნენ ორიანს! შენი ბრალია ყველაფერი. შენი ორიანის გულისთვის ჩემი ხუთიანი... არა, არა, დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის! —ყვიროდა ურანი.

ერლიმ ვეღარ მოასწრო სახელურის დატრიალება: ურანი ეცა, „დროის მანქანა" ხელიდან გამოსტაცა და ნამსხვრევებად აქცია.

ა. ბრიბოედოვი: რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას სამშობლოსათვის.

ნ. პროკასკაია: ცოდნა ისევეა საჭირო ცხოვრებაში, როგორც შაშხანა ბრძოლაში.

კ. ლიბკნეხი: ცოდნა — ძალაა. ძალა ცოდნაა.

სოფოკლე: ღრმა ცოდნა ბედნიერების პიროელი პირობაა.

ლ. ვოვენარგი: ადამიანი უნდა განსაჯოთ არა იმის მიხედვით, რა არ იცის. არამედ იმის მიხედვით — რა და როგორ იცის.

ლ. ოოლსოოი: ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, როცა იგი გონების დაძაბვით არის მოპოვებული, და არა მეხსიერების ჭყალობით.

ვაჟა ფშაველა: საცა სწავლაა, ქალაქიც იქ არის: თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გადაიქცევა.

ნ. ჩერნიშევსკი: ცოდნა სიყვარულს აღვივებს: რაც უფრო ეცნობი მეცნიერებას, მით უფრო ძლიერ გიყვარს იგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაქალაქის სასოფლოსწინა ჩემპიონები

ოთხი წლის წინათ თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლში შეიქმნა ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბი „ნაკადული". კლუბის წევრებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს: შარშან მათ თბილისის ჩემპიონობა მოიპოვეს პიონერთა შორის; წელს კი თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა შეჯიბრში გაიმარჯვეს და რაიონებში გამარჯვებული სკოლებისა და რაიონების პიონერული ასაკის, რაიონების მოსწავლეთა და ნაკრებ გუნდებს შორის დედაქალაქის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია, რომ „ნაკადულის" წევრებისაგან შემდგარმა თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გუნდმა, რომელიც ძირითადად პიონერული ასაკის მოსწავლეებისაგან შედგებოდა, მოიპოვა ქალაქის ჩემპიონობა მოსწავლეთა შორისაც.

ჭადრაკში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ მე-4 სკოლის პიონერულ რაზმეულს მუდმივ საკუთრებაში გადასცა გუნდის მიერ გასულ წელს მოპოვებული გარდამავალი თასი.

ორი სარაიონო და სამი საქალაქო გარდამავალი თასი, — აი, ის სპორტული ნადავლი, რაც დღეისათვის „ნაკადულის" წევრებმა — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს.

სურათზე: ხუთი თასის მფლობელი, თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გუნდი. **პირველ რიგში:** ნინო ხუბულური, კახი ჩიგოგიძე, ზურაბ რუხაძე, მერაბ ძნელაძე. **მეორე რიგში:** თეიმურაზ მექერიშვილი, დემურ ლონგურაშვილი და ავთანდილ მემარნიშვილი.

ოთახში და ეზოში, ცხადია, ძნელია სრულყოფილი ტანვარჯიშული მოედნის გამართვა, მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ. თქვენს ირგვლივ იმდენნაირი სხვადასხვა საგნებია, რომ მათი საშუალებით უამრავი ნაირსახეობის ვარჯიშების შესრულება შეიძლება.

მაშ ასე, მოამზადეთ: მაგიდა, ორი სკამი, პირსახოცი, წიგნი, სახტუნაო ბაწარი, გაზეთი, ჩოგბურთის ბურთი, ჯოხი... საკმარისია, — თქვენს ხელთ უკვე მთელი „სპორტული მოედანია". აბა, შეუდგეთ საქმეს.

ბიჭები, როგორც წესი, ალმაცერად უყურებენ ბაწრით ხტუნაობას, — იგი გოგოების „სათამაშოდ" მიაჩნიათ. ეს მცდარი შეხედულებაა: არც ერთი გამოჩენილი ტანმოვარჯიშე, მოკრივე, მოჭიდავე თუ ფეხბურთელი უარს არ ამბობს ამ სახის ვარჯიშზე, მეტიც, — ეს უბრალო იარაღი მათი წვრთნის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. ბაწრით ხტუნვა შესანიშნავად ანვითარებს ფეხის კუნთებს, კარგად მოქმედებს გულსა და სისხლძარღვებზე.

მაინც, რა ვარჯიშები შეიძლება გაკეთდეს სახტუნაო ბაწრით? აი, რა: ორივე ფეხით ხტუნვა, ცალ ფეხზე ხტუნვა (შენაცვლებით), ხტუნვის დროს ბუქნი...

მაგიდასთან ზურგით დადექი. გადადგი ნაბიჯი წინ. ორივე ხელით მაგიდას დაეყრდენი. მოხარე ხელები და სხეული ძირს ჩასწიე (ერთი-ორი). თანდა-



ᲛᲝᲛᲔᲠᲯᲜᲝ ᲛᲝᲛᲔᲠᲯᲜᲝ

ᲪᲮᲐᲚᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ. ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲘ. ᲦᲝᲜᲘᲔᲠᲘ. ᲒᲐᲛᲬᲘᲠᲔ. ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲘᲦᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲩᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲡᲯᲘ ᲘᲧᲝᲡ. ᲐᲛᲘᲒᲝᲛ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ. ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ. ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲥᲜᲐᲜ ᲛᲐᲗ. ᲕᲘᲜᲪ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲞᲝᲠᲗᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ?

ᲔᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲒᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐᲗ ᲡᲞᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲘᲕᲘ ᲩᲮᲐᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲣᲙᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲡᲜᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ.

თან გამართე ხელები და მიიღე საწყისი მდგომარეობა (სამი-ოთხი). ეს ვარჯიში ძალზე ამაგრებს მკლავის კუნთებს.

მაგიდაზე ზურგით დაწექი. თვლაზე: ერთი-ორი, — ნელ-ნელა დაუშვი ფეხები ძირს; თვლაზე, სამი-ოთხი — ფეხები ასწიე მაღლა. (ფეხებს მუხლებში ნუ მოხრი). შეგიძლია ფეხები მაკრატელივით ზევით-ქვევით ან ჯვარედინად, აქეთ-იქით გაშალო.

ეს ვარჯიში შესანიშნავად ანვითარებს ზურგსა და მუცლის არის კუნთებს. ბევრ თქვენგანს შეხარბებია მოჭიდავის ძლიერი კისერი. **კისრის** კუნთების გავარჯიშებას ისინი საკმაოდ იოლი ვარჯიშით აღწევენ.

თავი რბილ საგანზე დადე და ხიდური გააკეთე. შემდეგ, ტანი კისრის გარშემო ამოძრავე. თუ ეს ვარჯიში გაგიძნელდა, არსებობს მეორე, ძალზე მარტივი ვარჯიშიც. აიღე პირსახოცი, ამოიდევი თავს უკან, ბოლოები ხელში დაიჭირე და გაქაჩე, თან თავი აქეთ-იქით ან წრიულად ამოძრავე.

აი, კიდევ ერთი ვარჯიში კისრისთვის. დაწექი ზურგზე და ნიკაპით შემოხაზე ციფრები, ერთიდან ათამდე.

ხელის მტევნის ძალის გასაზრდელად, ხელში დაიჭირე ჩოგბურთის ბურთი, თითები მთელი ძალით მოუჭირე, გაშალე და ისევ მოუჭირე (რიგ-რიგობით ორივე ხელით). ასე გააკეთე 30-35-ჯერ. თუ ბურთი არ გაქვს, ნუ ეაღონდები,— დაიჭირე დაჭმუჭნული გაზეთი და მანამ უჭირე ხელი, სანამ კუნთების ტკივილს არ იგრძნობ.

დაიჭირე ჯოხი ორივე ხელში, მხრების სიგანეზე. ჯოხი გადაიტანე თავსუკან, სანამდეც შეგიძლია, მერე ისევ საწყისი მდგომარეობა მიიღე. ეს ვარჯიში მით უფრო ძნელია, რაც უფრო ახლოს გაქვს ხელები ჩავლებული ჯოხზე. თუ ეს ვარჯიში ძალზე გეიოლება, შეგიძლია იგი გაართულო. ახტი და ჯოხს ხელები არ გაუშვა, ისე გადაატარე თითო ან ორივე ფეხი (წინ და უკან).

ჯოხს შუაზე მოკიდე ხელი, მკლავი გამართე და მაჯა აქეთ-იქეთ ამოძრავე. (რიგ-რიგობით ორივე ხელით).

თუ ჯოხს ორი სკამის ზურგზე გადებ, იგი ღერძის მაგივრობას გაგიწევს, ოღონდ ფრთხილად უნდა ივარჯიშო,— რადგან ჯოხი შეიძლება გასხლტეს.

რადგან სიტყვა სკამზე მიდგა, ბარემ კიდევ ორი ვარჯიშიც დაიმახსოვრე. დადექი სკამს უკან და ენერგიული მოძრაობით, გამართული ფეხი ზედ გადაატარე (ხან — ერთი, ხან — მეორე).

ძალზე სასარგებლოა აგრეთვე სკამზე ბუქნი (ხან — ერთი, ხან მეორე ფეხით).

თუ ისეთ ადგილას ხარ, რომ წიგნის მეტი ხელთ არაფერი გაქვს, ისიც შეიძლება სავარჯიშოდ გამოიყენო:

დაიჩოქე, წინ წიგნი დაიდე, მერე ორივე ხელი მოკიდე და ზურგს უკან სკამზე (ან იატაკზე) დადე.

დაჯექი ძირს, წიგნი ზურგს უკან მოიქციე და კედელს მიაწექი, ხელები ზევით-ქვევით ამოძრავე ისე, რომ წიგნი ძირს არ ჩამოვარდეს.

ახლა ისღა დაგვრჩენია გითხრათ, რომ ამ ვარჯიშებმა არამც და არამც არ უნდა შეცვალოს დილის გამამხნევებელი ვარჯიში, პირიქით, მისი დამატება, — შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

პირველი ვარჯიშის შემდეგ კუნთების ტკივილი თუ იგრძნო, ნუ შეშინდები, ვარჯიშები განაგრძე, კუნთები შეეჩვევა დატვირთვას და ტკივილი მალე გაგივლის.

ვარჯიშის დროს სუნთქვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაგუბო, იგი ღრმა და რიტმული უნდა იყოს.



შავი ხორბალი

საბჭოთა არქეოლოგებმა, ეგვიპტეში გათხრების დროს, აღმოაჩინეს დროთა ვითარებისაგან გაშავებული ხორბლის მარცვლები. ამ მარცვლების ხნოვანება ექვსი ათას წელს უდრის. სულ ცოტა ხნის წინ კი, თურქმენმა არქეოლოგებმა შვიდი ათასი წლის მარცვლები იპოვეს. ნიადაგის იმავე ფენაში ქვის მარცვალსანაყიც აღმოჩნდა. ჩანს, იმ დროის ადამიანმა ხორბლის არა მარტო მოყვანა, — დაფქვაც იცოდა.

„ერთგული"

იტალიის სოფელ ლუკოს მცხოვრები, მუშა კარლ სორიანი საღამოს სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. უცებ, ძაღლის ყეფა შემოესმა. კარლ სორიანი შეჩერდა და ყეფას ყური მიუგდო; ძაღლი წუმპიან თხრილში ჩავარდნილიყო და იხრჩობოდა. სორიანს შეებრალა იგი, მივიდა, თხრილიდან ამოიყვანა და სახლში წაიყვანა, დაბანა, გაათბო, აჭამა. კარლის ოჯახმა ძაღლს სახელად „ერთგული" შეარქვა...

ძაღლი სულითა და გულით მიენდო გადამრჩენს.

„ერთგული" ყოველ საღამოს სახლიდან გამოდიოდა და თავის ახალ პატრონს ავტობუსის გაჩერებასთან ხვდებოდა.

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. კარლ სორიანი ფუგასური ყუმბარის მსხვერპლი გახდა. მას შემდეგ გავიდა მრავალი წელი, მაგრამ ერთგული ძაღლი ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე დროს, გამოდიოდა სახლიდან და ავტობუსის გაჩერებასთან ელოდებოდა კარლს.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, რომ პატრონისადმი ძაღლის ასეთი თავდადება რაიმეთი აღენიშნათ. და აი, „ერთგულმა" ჯერ ოქროს მედალი „მიიღო", შემდეგ კი, 1956 წლის 29 დეკემბერს, მას ქალაქ ბორგოში ძეგლი აუგეს.



ძაღლი — აქვალანგისტი

ბანჯგვლიან ფოქსტერიერს, სახელად ლავლის, საოცრად უყვარს თავისი პატრონი — შვედი სვენ ნალინი; საითაც კი ფეხს გადგამს ნალინი, ლავლიც მაშინვე იქ გაჩნდება ხოლმე.

ერთხელ ნალინმა აქვალანგით ჩაყვინთა ზღვაში. უეცრად, თავის გვერდით ლავლი შენიშნა. ნალინს შეეშინდა, წყლის სიღრმეში ძაღლი არ დაიხრჩოსო, და დაუყოვნებლივ გამოცურა ნაპირზე. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე განმეორდა.

ბოლოს, ნალინმა, პროფესიით წყალქვეშა ცურვის ინსტრუქტორმა, გადაწყვიტა, ლავლისთვის სპეციალური აქვალანგი გაეკეთებინა. გააკეთა კიდეც.

ლავლომ სიამოვნებით დაიწყო წყალქვეშ ცურვა. იგი თავისუფლად სუნთქავდა ნიღაბში, მშვენივრად ცურავდა ზურგზე აქვალანგითა და თათებზე მორგებული ფარფლებით. განსაკუთრებით უყვარდა ქორჭილაზე ნადირობა.

შვეციის ცხოველთა დაცვის ბიურომ შეიტყო, რომ ძაღლს წყალქვეშ აცურავებდნენ, და ნალინის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა. მაგრამ ნალინმა სასამართლოზე წარადგინა სტოკჰოლმის ვეტერინალური ინსტიტუტის პროფესორის მიერ მიცემული ცნობა. ცნობაში ეწერა: „ძაღლებს უყვართ თამაში, ცელქობა; უყვართ აგრეთვე ცურვა. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, წყალქვეშ ცურვა ძაღლისთვის ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე ადამიანისათვის; ყურის თავისებური აგებულების წყალობით, ძაღლი შედარებით ადვილად უძლებს წყლის წნევას".

ასე მიიღო ლავლომ წყალქვეშ ცურვის უფლების ოფიციალური „მოწმობა".

გარეკანის პირველ გვერდზე — „სკოლისაკენ", ნახატი დიმიტრი ზარაფიშვილისა.

რედაქტორი ბაბულია ფელია
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, რუსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76 საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 05998 ტირ. 28.000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 21/VIII-64 წ. სტამბის შეკვ. 1986. გამომც. შეკვ. 420. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

პიონერული სიმღერა

ტექსტი შ. ამირანაშვილისა

მუსიკა ა. ბახკაკოვისა



მშობლიურო მთა-ველო,
შენკენ მოგვიხარო;
ოქროსფერი სხივებია,
ყვავილების ქარია.

მოვდივართ და მოვიმღერით,
ცასა ვწვდებით ოცნებით;
ჩიტუნები ბანს გვაძლევენ,
ტაშს გვიკრავენ ფოთლები.

ბერ მუხასთან შევისვენოთ,
მინდვრად დავცეთ ბანაკი,
მოვისმინოთ ვერცხლისფერი
წყაროს ტკბილი არაკი.

პიონერთა ლაშქრობაში
სულაც არა გვწყინდება,
ჩვენი გული ხალისით და
სიხარულით ბრწყინდება.

ᲑᲑ/223

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

Уважаемые!

ᲬᲝᲠᲩᲝ ᲤᲝᲗᲝ-ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ!

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲝ! ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ ᲤᲝᲢᲝᲤᲘᲠᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲚᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲝᲒᲚᲝᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲐ—ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲝᲡ ᲠᲐᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ,—ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲑᲝᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲛᲐᲪ.

ᲓᲐ ᲐᲘ,—ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ.

ᲥᲘᲣᲠᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲐᲠᲩᲔᲕᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲠᲐᲣᲛᲔᲢᲔᲡ 12 × 18. ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲕᲝᲓᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲤᲘᲠᲘ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲖᲐᲕᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ.



ᲧᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ